საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბჭობის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 16 ნოემბერი. 2017 წ. №234 (8371), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

! ღმერთს არ შეუქმნია ჰომო-სექსუალური გენი!

(5)

საქართველოს მოსახლეობა 3,7 მილიონია; სიკვდილიანობა შობადობას აჭარბებს!!!

(2)

ევროპარლამენტმა საქართველოს მხარდამჭერი რეზოლუცია მიიღო

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტამდე ცხრა დღით ადრე, ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც ასოცირებული წევრების საქართველოს, უკრაინის და მოლდოვის შემდგომ ინტეგრაციას უჭერს მხარს. კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემდეგ, პარტნიორების შენგენის და ერთიან საბაჟო კავშირში გაწევრიანებას 519-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი. კენჭისყრის შედეგების მიხედვით, წინააღმდეგი იყო 114 დეპუტატი და 47 პარლამენტარმა თავი შეიკავა.

რეზოლუცია უკვე გადაეგზავნა ევროპულ კომისიას და ევროპულ საბჭოს. ევროპარლამენტარებმა ასევე, აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტის წინ რეკომენდაციები მოამზადეს. რეკომენდაციებში საუბარია „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამი ასოცირებული წევრი ქვეყნის საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვას მხარდაჭერის გაზრდის აუცილებლობაზე. ევროპარლამენტარები გამოდიან ინიციატივით, დაფუძნდეს საინვესტიციო ფონდი, რომელიც ამ სახელმწიფოებში საშუალო და მცირე ბიზნესის განვითარებას დაეხმარება.

ევროპარლამენტში სამიტის შესახებ რეზოლუციაზე დებატები 14 ნოემბერს გაიმართა. დებატების დაწყებამდე ევროპარლამენტარმა ლაიმა ანდრიკიენემ პირველ არხს განუცხადა, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტის დეკლარაცია თუ არ იქნება ახალი დინამიკის წინაპირობა, მასში მნიშვნელოვანი ელემენტები არ აისახება, არ იქნება მომავლის პოლიტიკური ხედვა, მაშინ ეს ევროკავშირის უუნარობის და დროის დაკარგვის დემონსტრირება იქნება.

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტი 24 ნოემბერს ბრიუსელში გაიმართება.

„გენგეგმით“ გადაწყდება, კალაძე ივანიშვილის შემცვლელი იქნება თუ ნარმანიასი!

(4)

სიცოცხლე – სიცოცხლით სავსე თბილისს!



(7)

„ძენი მუსიკის, დღენი ქარიშხლის“

9 ჩოხოსანი და ერთი მანდილოსანი...

თბილისის მერმა კახა კალაძემ დედაქალაქის რაიონების გამგებლები წარადგინა. დედაქალაქის მერის განცხადებით, ეს ადამიანები გახდებიან ქალაქის მთავრობის მთავარი დასაყრდენი თბილისის რაიონებსა და უბნებში.

„გამგებლები და გამგეობები ასრულებენ უმნიშვნელოვანეს როლს, კონკრეტული რაიონების, კონკრეტული პრობლემების მოგვარებაში. გამგებლებს ყოველდღიური შეხება აქვთ მოქალაქეებთან, მათ პრობლემებთან და ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ იმუშაონ ეფექტურად არსებული გამოწვევების დაძლევის მიზნით“, — აღნიშნა კალაძემ.

დედაქალაქის რაიონების გამგებლების ახალი შემადგენლობა ასეთია:

საბურთალოს რაიონი — გაიოზ ვასაძე,
ვაკის რაიონი — ნოდარ ტურძელაძე,
ჩუღურეთის რაიონი — ზურაბ ჩიკვილაძე,
დიდუბის რაიონი — ირმა ზავრადაშვილი,
ნაძალადევის რაიონი — ირაკლი ხელაძე,
გლდანის რაიონი — ბექა მიქაუტაძე,
კრწანისის რაიონი — ლევან ჯაფარიძე,
მთაწმინდის რაიონი — დავით კირკიტაძე ,
ისნის რაიონი — კახა ლაბუჩიძე,
სამგორის რაიონი — დავით კერესელიძე.

თბილისის მერის თქმით, გამგებლებს ექნებათ მისგან მაქსიმალური მხარდაჭერა და ყველა წინაპირობა საქმის კეთებისათვის, თუმცა, ამავდროულად იგი იქნება ძალიან მომთხოვნი თითოეული მათგანისადმი და არ დაუშვებს მოქალაქეებისა და ქალაქის პრობლემებისადმი გულგრილ დამოკიდებულებას.

საქართველოს მოსახლეობა 3,7 მილიონია; სიკვდილიანობა შობადობას აჭარბებს!!!

სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, 2014 წელს ჩატარებული აღწერის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოში მოსახლეობის რაოდენობამ იკლო და მისი მაჩვენებელი 3,7 მილიონია. როგორც გუშინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე სააგენტოს აღმასრულებელი დირექტორის მოადგილემ თენგიზ ცეკვავამ განაცხადა, მოსახლეობის რაოდენობის შემცირების ძირითადი მიზეზი დიდი მიგრაცია და ერის ნაადრევი დაბერებაა. მისივე თქმით, საქართველოში მოსახლეობის დაბერების პროცესი მიმდინარეობს და ის 2014 წლის მდგომარეობით დაახლეობით, 21%-ს შეადგენს.

„2014 წლის აღწერამ აჩვენა, რომ საქართველოში მუდმივი მოსახლეობის რაოდენობა 3,7 მილიონს შეადგენს, რაც არის მნიშვნელოვანი ცვლილება, მნიშვნელოვანი კლება 2002 წლის აღწერასთან შედარებით, როდესაც 4,3 მილიონი დაფიქსირდა ქვეყანაში. ბუნებრივია, კიდევ უფრო დიდი კლებაა 1989 წლის ბოლოს საბჭოთა აღწერასთან შედარებით, როდესაც 5,5 მილიონი იყო საქართველოში მოსახლეობის რაოდენობა. ამის მიზეზი არის, რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირის რღვევა, რა თქმა უნდა, ჩვენი ორი რეგიონის, აფხაზეთის და სამაჩაბლოსთან მიმართებაში მიმდინარე პროცესები. გარდა ამისა, ის დიდი მიგრაცია, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1990-იან წლებში. მოსახლეობის რაოდენობა განპირობებულია ორი ფაქტორით, ბუნებრივი მოძრაობით, შობადობა პლუს გარდაცვალება და მიგრაციით. საქართველოში მაღალი მიგრაციული პროცესებია, ის გაცილებით მაღალი იყო 1990-იანებში და 2000-იანი წლების პირველ ნახევარში. ამიტომ ათასობით ადამიანი გადიოდა ქვეყნიდან და შესაბამისად, მოსახლეობა იკლებდა. ევროპაში საპირისპირო პროცესებია. ევროპაში მეტი ადამიანი ჩადის და შესაბამისად, მოსახლეობის რაოდენობა არ კლებულობს, სწორედ ჩამოსულთა ანუ ემიგრანტების ხარჯზე. ჩვენს პირობებში პირიქითაა, ჩვენი შობადობის დონე უახლოეს წლებში შემცირდება, სწორედ იმის გამო, რომ 90-იანებში ჩავარდნა გვქონდა“, — განაცხადა ცეკვავამ.

სააგენტოს მონაცემებით დგინდება, რომ საქართველოში გარდაცვლილთა რაოდენობამ შობადობას გადააჭარბა.

„2017 წლის პირველი ექვსი თვის მონაცემებით დავინახეთ, რომ შობადობა პირველად ჩამორჩა გარდაცვალებას. ანუ გარდაცვლილთა რაოდენობამ შობადობას გადააჭარბა. ეს პროცესი არის სწორედ იმის გამოძახილი, რომ 1990-იან წლებში შობადობამ იკლო და ის მოსახლეობა და ახალგაზრდები, რომლებიც ფერტილურ ასაკში შედიან, განსაკუთრებით ქალები, მათი რიცხვი, ფაქტობრივად, განახევრდა. თუ 80-იან წლებში დაიბადა დაახლოებით 450 ათასი ქალი საქართველოში, 1990-იან წლებში დაბადებულ ქალთა რაოდენობა 230 ათასი იყო, ანუ განახევრდა და სწორედ ის ქალები, რომლებიც დღეს შედიან ფერტილურ ასაკში, სწორედ მათ მიერ გაჩენილი ბავშვების რაოდენობა დაიწყებს კლებას“, — განაცხადა ცეკვავამ.

სტრუქტურული რეფორმა მოიტანს ძალიან მნიშვნელოვან თვისობრივ ცვლილებებს

მთავრობა გუშინდელ სხდომაზე სტრუქტურული ცვლილებების პაკეტს დაამტკიცებს. როგორც პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა, ახალი რეფორმა მნიშვნელოვან თვისობრივ ცვლილებას მოიტანს.

„მინდა, კიდევ ერთხელ ხაზი გავუსვა იმ ძალიან მნიშვნელოვანი სტრუქტურული რეფორმების წამოწყების მნიშვნელობას, რომელიც უკვე დავაანონსეთ. დეტალებზე აღარ შევჩერდები — ეს არის რეფორმა, რომელიც მოიტანს ძალიან მნიშვნელოვან თვისობრივ ცვლილებას მართვის ხარისხში და შედეგების მიღწევის თვალსაზრისითაც, ჩვენ ყველანი ამას დავინახავთ.

მინდა, მივულოცო მიხეილ ჩხენკელს და მამუკა ბახტაძეს ჩვენი გუნდის წევრობა. თუმცა, მამუკა ამ დარბაზში ბევრჯერ ყოფილა და ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი განგვიხილავს, მიხეილი პირველად არის ჩვენთან ერთად მთავრობის სხდომაზე. მინდა, წარმატება გისურვოთ. დარწმუნებული ვარ, დიდი წარმატებით გაართმევთ თავს იმ ძალიან მნიშვნელოვან ამოცანებს, რომლებიც თქვენს უწყებებში არსებობს.

ასევე, მინდა მადლობა გადავუხადო გიორგი მღებრიშვილსა და სანდრო ჯეჯელავას და მათ წარმატება ვუსურვო. ვფიქრობ, ნამდვილად მნიშვნელოვანი ცვლილებებია, რომლის საკანონმდებლო უზრუნველყოფის პაკეტიც დღეს მთავრობის სხდომაზე გამოგვაქვს.

იმედი მაქვს, დავამტკიცებთ და გადავაგზავნით პარლამენტში“, — აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

საქართველოს ვიცე-პრემიერი თურქმენეთს ეწვია

საქართველოს ვიცე-პრემიერი, საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე 2017 წლის 15 ნოემბერს ვიზიტით ეწვია თურქმენეთის რესპუბლიკას. ვიზიტის ფარგლებში

მიხეილ ჯანელიძე მონაწილეობას მიიღებს ავღანეთთან დაკავშირებით მეშვიდე რეგიონალურ ეკონომიკურ კონფერენციაში, რომელშიც მსოფლიოს 60-ზე მეტი ქვეყნის მაღალი რანგის სტუმარი მონაწილეობს. ვიზიტის ფარგლებში ასევე დაგეგმილია ავღანეთს, თურქმენეთს, აზერბაიჯანს, საქართველოსა და თურქეთს შორის სატრანზიტო-სატრანსპორტო შეთანხმების გაფორმება, რომელიც „ლაპის ლაზულის“ სახელით არის ცნობილი. „ლაპის ლაზულის“ მარშრუტის პროექტი ითვალისწინებს ხელმომწერ ქვეყნებს შორის სავაჭრო და სატრანსპორტო ურთიერობების ხელშეწყობას, რაც გულისხმობს შეთანხმების მონაწილე ქვეყნებში ტვირთისა და მგზავრების დაუბრკოლებელ გადაადგილებას, სატრანზიტო მოძრაობასთან დაკავშირებულ ი აუცილებელი ადმინისტრაციული საკითხებისა და პროცედურების ჰარმონიზაციას და გამარტივებას და ა.შ. „ლაპის ლაზულის“ შეთანხმებით საქართველო ევროპა-აზიის დამაკავშირებელი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სატრანზიტო დერეფნის მონაწილე ხდება. აშხაბადში ვიზიტის ფარგლებში მიხელ ჯანელიძე შეხვედრას გამართავს თურქმენეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან რაშიდ მერედოვთან.

შტატის შემცირებაში მხოლოდ სპორტის სამინისტრო არ იგულისხმება...

„შტატის შემცირება მხოლოდ სპორტის სამინისტროს არ შეეხება“, — ამის შესახებ კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ განაცხადა და აღნიშნა, რომ ადმინისტრაციულ ნაწილში ოპტიმიზაცია გარდაუვალია.

მინისტრის განცხადებით, სავარაუდოდ, მთავრობის მომავალ სხდომაზე მინისტრები, რომელთა სამინისტროებსაც სხვა უწყებები დაემატა, კონკრეტულ გეგმას წარადგენენ.

„შეთავაზებული ცვლილებები გულისხმობს გარკვეული სამინისტროების შერწყმას, რაც ადმინისტრაციული მიმართულებით ხარჯებზე პოზიტიურად აისახება.

თითოეული სამინისტრო ოპტიმიზაციის გეგმას წარადგენს მთავრობაზე, რომლის შემდეგაც ეს კონკრეტული ციფრები იქნება ცნობილი. ვფიქრობ, მთავრობის შემდეგი სხდომისთვის თითოეული მინისტრი, იქნება მზად იმისთვის, რომ უკვე კონკრეტული გეგმა მთავრობას წარუდგინოს.

მე სულაც არ ვგულისხმობ შტატის შემცირებაში მხოლოდ სპორტის სამინისტროს, ჩვენ თუ ერთიანი უწყების ლოგიკაში განვიხილავთ ამას, ორივე საშტატო განრიგს თავიდან გადავხედავთ. 140 თანამშრომელი გვყავს ჩვენ და 106, ან 116 — სპორტის სამინისტროს“, — აღნიშნა მიხეილ გიორგაძემ.

შეგახსენებთ, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს უერთდება სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სპორტის კომპონენტი.

საწვავი და სურსათი შესაძლოა, გაძვირდეს

ექსპერტ გიორგი პაპავას განცხადებით, ლარის გაუფასურებას აუცილებლად მოყვება პროდუქტისა და ბენზინის გაძვირება. როგორც პაპავა „პირველ რადიოსთან“ საუბრისას ამბობს, ყველა იმპორტირებულ საქონელზე მოიმატებს ფასი, რადგან ბიზნესი ეცდება ლარის გაუფასურების გამო მნიშვნელოვნად არ იზარალოს. **„როცა კურსი მნიშვნელოვნად უფასურდება ეს აისახება იმპორტირებულ საქონელზე, ანუ ამ შემთხვევაში შეგვიძლია ვისაუბროთ ბენზინზე იმიტომ რომ მისი ფასი დაფიქსირებულია დოლარში და ლარის გაუფასურება დოლართან მიმართებაში საწვავის ღირებულებაზე აისახება ლარში. ასევე, პირველ რიგში, ფასების ზრდა შეეხება იმ პროდუქტს,რომელიც არის იმპორტირებული.**

შემდეგ უკვე ფასის ზრდა იმის გამო რომ სატრანსპორტო სექტორში მომსახურება გაძვირდება და იმპორტირებული პროდუქტიც უფრო ძვირი იქნება, ეს ავტომატურად გადაეცემა სხვა პროდუქტებსაც.

იმის გარდა რომ თვითონ ნიშნული არის გაუფასურებული,როცა კერძო სექტორი ხედავს,რომ კურსის მერყეობა იყოს ასეთი მნიშვნელოვანი ამ რისკებს რეალურად ფასში დებს ანუ იმაზე მეტად აძვირებს პროდუქციას, ვიდრე ამას კურსის ცვალებადობა განაპირობებს.

ბიზნესმა რომ იცოდეს, რომ ლარი მომავალში მნიშვნელოვნად არ იმერყევებს, იქნება მშვიდად,მაგრამ თუ იცის,რომ შეიძლება მნიშვნელოვან გაუფასურებას ელოდოს მოკლე პერიოდში, ამას ჰქვია სავალუტო რისკი,როდესაც რისკს პროდუქტის ფასში დებს, ანუ თავს იზღვევს იმისგან, ვალუტა თუ მნიშვნელოვნად გაუფასურდა თვითონ არ დაზარალდეს“ —ამბობს გიორგი პაპავა.

ავარიული ბინების ყველაზე დიდი რაოდენობა სამგორშია...

სამგორის რაიონის გამგებლობის კანდიდატის დავით კერესელიძის განცხადებით, სიცოცხლით სავსე უბნიდან, სიცოცხლით სავსე რაიონიდან იწყება სიცოცხლით სავსე ქალაქის ცხოვრება.

კერესელიძის შეფასებით, სამგორის რაონში უამრავი სოციალური პრობლემაა, რომლის მოგვარებას სახელმწიფოს დახმარებითა და კერძო ინვესტიციებით შეძლებს.

„დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ბატონ კახას ამ დიდი ნდობისათვის.

ჩემთვის დიდი პასუხისმგებლობაა, ვიყო ამ გუნდის წევრი და შევასრულოთ დანაპირები. სიცოცხლით სავსე უბნიდან, სიცოცხლით სავსე რაიონიდან იწყება სიცოცხლით სავსე ქალაქის ცხოვრება.

ჩემთვის სამგორი არის მშობლიური რაიონი და მინდა შევიტანო წვლილი მისი შემდგომი განვითარებისთვის და უკეთესი მომავლისათვის.

სამგორის რაიონს ადრე ერქვა საქარხნო რაიონი, იქ უამრავი ადამიანი დარჩა უმუშევარი, არის სოციალური პრობლემატიკა და ავარიული ბინები. ავარიული ბინების ყველაზე დიდი რაოდენობა სამგორშია, ჩვენ ეს აღვრიცხეთ. ამას სახელმწიფო თავისი ძალით ვერ მოერევა და პირობას ვდებთ, რომ ამ პრობლემატიკის მოგვარებას კერძო საინვესტიციო პროექტებით, სახელმწიფოს მაქსიმალური ხელშეწყობით შევძლებთ“, — განაცხადა დავით კერესელიძემ.

მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში

მომავალი სახელმწიფოს კონტურები

საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა: წანამძღვრები, მიზნები, ამოცანები

მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარდა საზოგადოებრივი განყოფილების გაფართოებული სხდომა, რომელზეც ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა როზეტა ასათიანმა წაიკითხა მოხსენება — „საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა: წანამძღვრები, მიზნები, ამოცანები“. როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, „საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა მეცნიერების შედარებით ახალი დარგია, ნახევარ საუკუნეზე მეტია, ობიექტური წანამძღვრების საფუძველზე წარმოიშვა განვითარებულ ქვეყნებში, ხოლო საუნივერსიტეტო სწავლებაში რამდენიმე ათეული წელია, დაინერგა დასავლეთის უნივერსიტეტებში. ამჟამად ისწავლება პოსტკომუნისტურ ქვეყნებშიც, საქართველოში კი სახელმძღვანელოს არარსებობის გამო ვერ მოიკიდა ფეხი“.



მოხსენებაში ეტაპობრივად არის გაანალიზებული საქართველოში საზოგადოებრივი, ანუ მთელი სახელმწიფო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების („მესამე სექტორის“) — არასამთავრობო და საქველმოქმედო ორგანიზაციების ფუნქციონირების თანამედროვე მდგომარეობა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თავისებურებები.

ასევე აღინიშნა, რომ საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა შეისწავლის ეკონომიკის სოციალიზაციის გაძლიერების პრობლემებს. **სიცოცხლისუნარიანი სოციალური პოლიტიკა თანამედროვე ცივილიზაციის გამოწვევაა.** ეს წინა პლანზე აყენებს სახელმწიფოს ახალ როლს ეკონომიკაში, განაპირობებს საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის სწრაფ განვითარებასა და მისი როლის ზრდას.

მიუხედავად ბოლო წლებში გადადგმული პოზიტიური ნაბიჯებისა, ამჟამად საქართველოს ეკონომიკა ხასიათდება წარმოების მკვეთრი დაცემით. საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში უნდა შეიცვალოს არსებული ნეგატიური პროცესები, რომლებიც გამოიხატება ეკონომიკის სოციალურ პოლარიზაციასა და ქონების მკვეთრ უთანაბრობაში (მდიდრების უმცირესობა და ღარიბების უმრავლესობა), საშუალო ფენის ფაქტობრივ არარსებობაში (9%), მცირე ბიზნესის განუვითარებლობაში (დასაქმებულთა მხოლოდ 9,1%) და ა. შ. ამ თვალსაზრისით, ეკონომიკურ აზროვნებაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს საქართველოში საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირების აპრობირებული გამოცდილების შესწავლა და ცხოვრებაში გამოყენება.

მოხსენების დასასრულ აზრი გამოთქვეს: ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **პაატა ლეიაშვილმა,** პროფესორმა **რევაზ ლორთქიფანიძემ,** ეკონომიკის აკადემიურმა დოქტორმა, პროფესორმა **იოსებ არჩვაძემ,** პროფესორებმა **მერაბ გველესიანმა, ანზორ ბაბუხადიამ, ისიდორე ჯანელიძემ** და ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **ნოდარ ჭითანავამ.**

კამათში გამომსვლელებმა ყურადღება გაამახვილეს ეკონომიკური პოლიტიკის ცხოვრებაში გატარების პრაქტიკულ ასპექტებზე, ამასთან დაკავშირებულ საჭირბოროტო სისტემურ საკითხებზე, სახელმწიფოს როლზე მოსახლეობის მდიდარი ნაწილის ხელში არსებული სახსრების დაბეგვრით გადანაწილებასა და ამ გზით კვლავ ეკონომიკაში დაბრუნებაზე, რათა მოსახლეობაში მეტი ფული გაჩნდეს, ხალხმა მეტი პროდუქციის შეძენა რომ შეძლოს და ამით ისევ ეკონომიკურ განვითარებას შეუწყოს ხელი. ყოველივეს მისაღწევად კი მეტად საყურადღებოა ყოფილი სსრ კავშირის რესპუბლიკების, მსოფლიოს მოწინავე ეკონომიკების, კერძოდ, ჩინეთის მაგალითის გათვალისწინება.

გამომსვლელებმა ხაზი გაუსვეს გლობალური ეკონომიკური განვითარების პროცესების მაღალკვალიფიციური კვლევების მნიშვნელობას, საქართველოში არსებული ეკონომიკურ ურთიერთობათა რაობასა და მათ განსხვავებებს, განსაკუთრებით კი ეფექტიანობის თვალსაზრისით, მოწინავე ქვეყნების ეკონომიკაში არსებულთან შედარებით.

განსაკუთრებით აღინიშნა პროფესორ როზეტა ასათიანის მოხსენების ანალიტიკური მდგენელის ორიგინალობა და თვითმყოფადობა, რომლის მსგავსი სადღეისოდ არავის აქვს გაკეთებული.

აჭარაში ციტრუსის საკოორდინაციო შტაბი გაიხსნა

ციტრუსის სეზონის დაწყებასთან ერთად აჭარაში ციტრუსის საკოორდინაციო შტაბი გაიხსნა. აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე სოფლის მეურნეობის მინისტრთან ავთანდილ მესხიძესთან ერთად ციტრუსის რეალიზაციის საკოორდინაციო შტაბს ესტუმრა და ციტრუსის წლევანდელი სეზონის მოლოდინის შესახებ ინფორმაცია მოისმინა. აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ციტრუსის შტაბი საწარმოებში მანდარინის ორგანიზებულად ჩაბარების მიზნით შექმნა, რაც ხელს უწყობს სამრეწველო გადამუშავებისთვის განკუთვნილი მანდარინის კოორდინირებულ რეალიზაციას.

კომპანიები, რომლებიც 1 კგ სამრეწველო გადამუშავებისთვის განკუთვნილ მანდარინს არანაკლებ 0.20 ლარად შეისყიდიან, 0.10 ლარის ოდენობის სახელმწიფო სუბსიდიას მიიღებენ. შესაბამისად, სამეწარმო გადამუშავებისთვის განკუთვნილი მანდარინის ფასი 0.20 ლარი იქნება.

მიმდინარე წელს საპროგნოზო მონაცემებით, ციტრუსის მოსალოდნელი მოსავალი 50-55 ათას ტონა იქნება, საექსპორტო მანდარინს სეზონზე ამზადებს 40-მდე ციტრუსის მიმღებ-დამხარისხებელი საწარმო, რომელთა ჯამური სიმძლავრე შეადგენს 30 000 ტონაზე მეტს. საწარმოებში ხდება მანდარინის დაკალიბრება, პარაფინირება, პლასტმასის, მუყაოსა და შპონის (ხის) ტარაში პროდუქციის შეფუთვა, პალეტებად შეკვრა და ექსპორტირება. ადგილობრივი სიმძლავრეებით შესაძლებელია 40 000 ტონა საექსპორტო ყუთის მომზადება. რეგიონში არსებული სამაცივრე დანადგარებით შესაძლებელია 7000 ტონამდე ციტრუსის შენახვა. ციტრუსის გადამმუშავებელი საწარმოები სეზონზე ღებულობს და კონცენტრატის სახით ამუშავებს 15000 ტონამდე არასტანდარტულ მანდარინს.

მიმდინარე წელს არსტანდარტულ მანდარინს მიიღებს და გადაამუშავებს შპს „TCF GEORGIA“ და შპს „Georgian industrial Asset Management Group“. „TCF GEORGIA“ გეგმავს 4 000 ათას ტონა არასტანდარტული მანდარინის მიღებას, რომლისგანაც დაამზადებს კონცენტრირებულ წვენს, რომელიც მოხმარდება ადგილობრივ ბაზრებს, ასევე ექსპორტირებული იქნება რუსეთის, უკრაინის და ყაზახეთის ქვეყნებში.

◎ შეაყარე კედელს ცერცვი...

როდის გამოჩნდება „დაფარული მეუფე“ და რას გვაბოლებს „ძლევაი საკვირველი“?!

საკმაოდ საინტერესო პოლემიკის ხასიათი შეიძინა **ზვიად ტომარაძის** მიმართვამ საქართველოს პრემიერ-მინისტრ **გიორგი კვირიკაშვილისადმი,** სადაც იგი „**ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების დამტკიცების შესახებ**“ მთავრობის 30 ოქტომბრის დადგენილებაზე საუბრობს. მიუხედავად იმისა, რომ მიმართვას სხვებიც აწერენ ხელს, ჩემთვის გასაგებია, რომ ამ მიმართვის ინიციატორად, ალბათ, ბატონი ზვიადი უნდა მოვიაზროთ...

მე პატივს ვცემ ზვიად ტომარაძეს და თვალყურს ვადევნებ მის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აქტივობებს (ნიშანდობლივია, რომ მას ყურადღების მიღმა არ რჩება მწვავე და ერისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემები), მაგრამ, მიმაჩნია, რომ ასეთმა მიმართვებმა სოციალურ ქსელში ორთქლის გამოშვებისა და „შეაყარე კედელს ცერცვი“-ს დატვირთვა შეიძინა.

ერთი მხრივ, კარგია, როცა საზოგადოებას ინფორმაციას აწვდი მოსალოდნელ საშიშროებაზე, მაგრამ, როცა მიმართვის ადრესატად დადგენილების მიმღებს ირჩევ და მასვე სთხოვ, ამოიღოს სტანდარტებიდან საშიში და ქრისტიანული მორალისთვის მიუღებელი პუნქტები, მიმაჩნია, რომ თავიდანვე მკვდრადშობილი ინიციატივაა.

ვის-ვის და დღევანდელ მთავრობას კარგად მოეხსენება, როგორ არის ნებაყოფლობით მოქცეული იგი ეშმაკის ბრჭყალებში და რამდენად საშიშ სტანდარტებს ნერგავს (გადაწყვეტილებებს იღებს) საკუთარ ქვეყანაში, მაგრამ, მას ისიც კარგად მოეხსენება, რომ ასეთ ინიციატივებზე საზოგადოების რეაქცია „უწყინარ“ მიმართვებს და სოციალურ ქსელში ორთქლის გამოშვებას არ სცილდება — როცა ხედავ, რომ შენივე მთავრობა (არა აქვს მნიშვნელობა ვისი დავალებით), ერს სასიკვდილო განაჩენს უმზადებს, მოკრძალებით კი არ უნდა სთხოვო დადგენილებიდან საშიში მუხლის ამოღება, არამედ, დადგენილების მიმღებს უნდა მოსთხოვო მისი გაუქმება, ხოლო, საზოგადოებას გაერთიანებისკენ უნდა მოუწოდო!!!

რაც ყველაზე ნიშანდობლივია, „სტანდარტის“ მიმღები (იგივე მთავრობა) უნდა გააფრთხილო: თუ ხალხის მოთხოვნას არ გაითვალისწინებს, რა რისხვა დაატყდება მას საზოგადოების მხრიდან. მტკიცება არ უნდა, რომ ასეთი მიმართვები და ცარიელი მუშტის ქნევა საშიშ სიმპტომებს იძენს, რასაც სხვანაირად, „ძაღლი ჰყეფს, ქარავანი მიდის“ ჰქვია!

თუ ჩვენ მხოლოდ „რბილი“ პროტესტის ფორმას ავირჩევთ, ხვალ-ზეგ ერთნაირსქესიანთა ქორწინებასაც დაგვიკანონებენ, ქართველებს საკუთარ მიწაზე საბოლოოდ ხიზნებად გვაქცევენ და მერე, როგორც გივი თარგამაძე გვემუქრებოდა, „სულსაც ამოგვხდიან“!

P. S. სასაცილოდ მეჩვენება კამათი იმის თაობაზე, თუ როგორი ადამიანია გიორგი კვირიკაშვილი. მეც არ ვამბობ, რომ პიროვნულად ცუდი ადამიანია, მაგრამ, როცა ასეთ საშიშ ინიციატივებზე აწერს ხელს, მისი პიროვნების დადებით კონტექსტში მოხსენიება, ან, თუნდაც, ამ თემის საერთოდ განხილვა უადგილოდ მიმაჩნია.

ჩვენი განსასჯელი არ არის, ვინ ვინ არის - ჩვენ ის უნდა განვსაჯოთ, ვინ რას აკეთებს და რას აფუჭებს!!!

ზყ Oყ Oყ მახსენდება გია ალიბეგაშვილის სახელმწიფო ენის დეპარტამენტის თავმჯდომარედ დანიშვნასთან დაკავშირებული გადაჭარბებული ემოციები, რომელიც ზოგ-ზოგიერთებმა ლამის „ქაჯეთის ციხის“ აღებად მონათლეს!

აბა, ერთი დაინტერესდით, იმის იქით თუ წავიდა საქმე?! ისიც გაარკვიეთ, რატომ მიიღო მთავრობამ მაინცდამაინც მაშინ ნაუცბათევი გადაწყვეტილება?

ზერელობა, ილუზიები და უაზრო, გადაჭარბებული ემოციები ღუპავს ქვეყანას!!!

ზაურ ნაჭყებია

„ბენგეგმით“ გადაწყდება, კალაძე ივანიშვილის შემცვლელი იქნება თუ ნარმანიასი!

1. დარგის მმართველიდან ტერიტორიულ მმართველად...

კახი კალაძის **თბილისის მერობა სოლოკრატიული სისტემის პერიოდის ქართულ პოლიტიკაში ახალი ეტაპის დაწყების** ნიშნების შემცველია.

მიუხედავად იმისა, რომ მინისტრობიდან ქალაქ თბილისის მერი თავის დროზე ნარმანიაც კი გახდა, კალაძის მსგავსი გადაადგილების შემთხვევა მაინც სხვაა – იგი ერთადერთი ფიგურაა „ქართულ ოცნებაში“ (ივანიშვილის შემდეგ, რა თქმა უნდა), რომელსაც რეალურად თავისი პოლიტიკური გუნდი ჰყავს როგორც საქართველოს პარლამენტში, ისე თბილისისა და სხვა მუნიციპალიტეტების საკრებულოებში.

მასთან შედარებით სუსტად გამოიყურება **გიორგი კვირიკაშვილი, რომლის მასშტაბურობას ამცირებს მისი მხრიდან საბანკო სისტემის გამოხატული ლობირება, წარუმატებელი საგადასახადო რეფორმები და გუშინდლამდე კარიკატურული საკადრო პოლიტიკა განათლების სისტემაში**. ამ ორთან შედარებით დიმიტრი ქუმსიშვილისა და გიორგი გახარიას „პოლიტიკური ბიზნესი“ რაღაც დროებითი ინტერესებით გაერთიანებულ ჯგუფს ჩამოჰგავს.

ფაქტობრივად, **კახი კალაძე** „ქართული ოცნების“ ფავორიტია. შეძლებს ის ჩაანაცვლოს ივანიშვილი?

დამოუკიდებლობააღდგენილი საქართველოს პოლიტიკის ლიდერობა დღემდე მსოფლიო მასშტაბით გამორჩეული პიროვნებების ხვედრი იყო:

ზვიად გამსახურდია – ინტელექტუალი, დიდი კონსტანტინე გამსახურდიას ოჯახიდან გამოსული სსრკ დაშლისთვის მსოფლიო მასშტაბის მებრძოლ-დისიდენტი;

ედუარდ შევარდნაძე – საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი ლიდერი, ამ სისტემის დაშლითა და ბერლინის კედელის დანგრევის პროცესებით მსოფლიო მასშტაბის პოლიტიკოსი;

მიხეილ სააკაშვილი – საქართველოს ხელისუფლებისა და საზოგადოებრივი სისტემის მმართველობის კომუნისტური პარტიის ყოფილი წევრებისგან „წმენდის“ განმახორციელებელი, მსოფლიო მასშტაბის ნეო-რევოლუციონერი და პოლიტიკური ავანტიურისტი;

ბიძინა ივანიშვილი – საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესებით გამდიდრებული, მსოფლიო მასშტაბის მდიდარი პიროვნება, საქართველოს ისტორიაში ყველაზე დიდი ქველმოქმედი.

ამ რიგის ჩანაცვლებაზეა საუბარი.

კვირიკაშვილმა, მიუხედავად დასავლეთის ლიდერების ბოლოდროინდელი დაინტერესებისა, ძნელი წარმოსადგენია, რომ შეძლოს არსებული პოლიტიკური ადაპტორის (ივანიშვილის ფორმალური მმართველობის რეალურ სახელისუფლო ძალაუფლებაში გადამყვანის) როლიდან გამოსვლა.

შეძლებს კახი კალაძე ამ რიგში ადგილის დაკავებას?

ამის შესახებ ახლა პროგნოზის გაკეთება ძნელია. ამისთვის საჭიროა კონტექსტის – ოცნების გარეთ პოლიტიკური გარემოს ანალიზი და სხვა უამრავი შემეცნებითი პროცედურის ჩატარება.

თუმცა, თითქმის უშეცდომოდ შეიძლება იმის თქმა, თუ რა შემთხვევაში დაკარგავს აზრს კახი კალაძის პიროვნებაზე ასეთი მასშტაბური საუბარი.

უპირველეს ყოვლისა, თუ ის უარყოფილი იქნება სოლოკრატიული სისტემის მიერ (სხვა უცვლელ პირობებში) მისი მერობის საწყის ეტაპზე. თუმცა შემდგომშიც ძნელი წარმოსადგენია, რომ მან შეძლოს გაიმეოროს **მარგველაშვილის** ქცევა. საქმე იმაში კი არაა, რომ მარგველაშვილს მხარს უჭერდა **ივანიშვილი,** არამედ, ვინ დაუჭირა მხარი **ივანიშვილთან მარგველაშვილს?! კალაძის შემთხვევა სხვაა.**

კახი კალაძის პოლიტიკური მომავალი, თუკი მას ექნება ივანიშვილის მხარდაჭერა ბოლომდე, დამოკიდებულია იმ პირველ ნაბიჯებზე, რასაც ის გადადგამს თბილისის მერის რანგში და არ გაებმება იმ ხაფანგებში, რაც მას უკვე ელოდება ამ ახალ პოსტზე.

თუ ის შეძლებს თავიდან აიშოროს ის, რაც დაემართა ნარმანიას და რამაც ნარმანია გახადა უგულავას პროექტების განმახორციელებელი და გამგრძელებელი იმ განსხვავებით, რომ ის ამას აკეთებდა ჩამქრალი ხალისით და ამის გარდა, ის იყო ივანიშვილის სურვილების გამტარებელი ქალაქში, რასაც ენთუზიაზმით ახორციელებდა უფლებამოსილების ბოლო წუთებამდე თბილისის საკრებულოსთან ერთად.

ორივე შემთხვევაში, კახი კალაძის მომავალი მასზე ბევრადაა დამოკიდებული, თუმცა ყველაფერი გადაწყდება უმოკლეს დროში – მერის საქმიანობის წარმართვიდან რამდენიმე დღეში. უკვე ცნობილია მერის სახის, მისდამი ნდობისა და მისი პოლიტიკური პერსპექტივის გამსაზღვრელი საკითხების პირველი რიგი. ეს საკითხები კალაძემ უკვე გამოკვეთა არჩევნებიდან მერის მოვალეობის შესრულებამდე პერიოდში.

2. „ორმერიანობა“ (21 ოქტომბერი – 13 ნოემბერი): საფუძარა კახი კალაძისთვის

საარჩევნო კამპანიის აქტუალურ ფაზაში **კახი კალაძის** გვერდით ჩანდა ოცნების ყველა ლიდერი თბილისის მოქმედი მერის – **დავით ნარმანიას** გარდა.

რატომ?

ეს ბუნებრივად აღიქმებოდა, როგორც ნიშანი, რომ **კალაძე** სხვაა (საარჩევნო სლოგანი: **„სიცოცხლით სავსე ქალაქი“),** სხვა შედეგებზეა ორიენტირებული, ვიდრე ნარმანია (საარჩევნო სლოგანი: **„ერთად ვიზრუნოთ თბილისზე“)** თავისი მოღვაწეობით, რომ კალაძე არ აპირებს იყოს ისეთი მერი, როგორიც ნარმანიაა!

როგორი მერი იყო ნარმანია და როგორ შეძლო მან თავისი 41-პუნქტიანი დაპირების შესრულება – ეს ცალკე მსჯელობის საგანია. ფაქტი ერთია – **დავით ნარმანიას დამსახურება გაკეთებულში კი არ უნდა ვეძებოთ, არამედ გაფუჭებულში. მისი მთავარი დამსახურება ისაა, რომ მან გააფუჭა იმაზე ნაკლები, ვიდრე შეეძლო! მას მთავარი მოეკითხება იმაში, რომ მან სხვას მეტის გაფუჭების უფლება მისცა, ვიდრე თვითონ გააფუჭა!**

კალაძის წინასაარჩევნო დისტანცირება ნარმანიასთან დადებითად იქნა აღქმული – ამას არჩევნების შედეგებიც ადასტურებს. ლოგიკურად სწორი იყო პოზიცია, რომ თბილისის ახალი მერი არ იქნებოდა ძველი მერის საქმიანობის ჩვეულებრივი გამგრძელებელი, გარდა მმართველობის უწყვეტობის გამო მიღებული მემკვიდრეობითობისა. რომ ახალი მერი არ იქნებოდა უღრმეს ურბანული კრიზისში მყოფი ქალაქ თბილისის მმართველობის რუტინის მშვიდი მონაწილე.

ამის საფუძველს (მართალია, არა ყოველთვის) იძლეოდა კახი კალაძის წინასაარჩევნო პროგრამა.

„ორმერიანობის“ პერიოდში მას შეეძლო აეღო „შესვენება“ (მით უმეტეს, რომ ამ პერიოდში წინა მერი ჯერ კიდევ ფუნქციონირებდა) და ამ პროგრამის რეალიზების მექანიზმებზე დაეწყო მუშაობა. გამოეყენებინა ეს დრო მეცნიერებთან, ქალაქის მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან შესახვედრად, აემაღლებინა მისი დონე ურბანისტიკაში, რომ უკვე განესაზღვრა, თუ რას გააკეთებდა მერობის პირველ დღეებში...

ის მოიქცა საპირისპიროდ. აღნიშნულ პერიოდში მთელი მისი ქმედებები მიმართული იყო იმის სადემონსტრაციოდ, რომ საარჩევნო კამპანიის დროს ნარმანიას გაუჩინარება ეს იყო შემთხვევითი ამბავი.

10 ნოემბერს – **დავით ნარმანიას** მიერ თავისი მერობის სამწლიანი პერიოდი (2014-2017 წწ.) შეჯამების ღონისძიებაზე – **კახი კალაძემ ჩამოაყალიბა პოზიცია, რომ ის ნარმანიას შექმნილ „საძირკველზე“ აპირებს პროგრამების განხორციელებას, რაც, ფაქტობრივად, ნარმანიას საქმის გამგრძელებლად, პოზიციონირება იყო.**

კახი კალაძის თქმით, „დავით ნარმანიას ძალიან რთული მემკვიდრეობა დახვდა“.

ეს თუ აუდიტორიული დიპლომატიით ნათქვამია მაშინაც და თუ სიტუაციის შეფასებაა, მით უმეტეს, მაშინ გაათკეცებით ხიფათის შემცველია.

ისმება კითხვა: **დავით ნარმანიამ რთული, არასახარბიელო მემკვიდრეობა მიიღო, მაგრამ როგორი მემკვიდრეობა მიიღო კალაძემ? თუ კალაძემ მიიღო „საძირკველი“ მემკვიდრეობა და რეალურად აღმოჩნდება, რომ ეს გადაჭარბებული შეფასებაა, ცოტა ხანში ხომ თავს იჩენს შედეგებში და ამაზე პასუხისმგებელი ხომ უკვე კახი კალაძე გახდება?!**

დავით ნარმანიას აზრით, **კახი კალაძეს** და **„ახალ გუნდს თბილისში გაცილებით უკეთესი მდგომარეობა დახვდება, ვიდრე ჩვენ დაგვხვდა, როცა ჩავიბარეთ თბილისი“.**

მაგრამ რაშია უკეთესობა, ხომ უნდა იყოს ცნობილი? ან უკეთესის ქვეშ რა გვესმის? რამდენიმე ბაღი, ქუჩის რემონტი და ა.შ. ჩამონათვალი? ნარმანია სპეციალისტია და კარგად იცის ქალაქის განვითარების ინდიკატორები და ამ ინდიკატორებით უნდა გამოხატოს წარმატებები.

ქალაქისთვის გაკეთებული საქმეების ცალობით – ავტობუსებისა და საბავშვო ბაღების რაოდენობით გაზომვა პრიმიტივიზმია. რამდენი ავტობუსი იყიდა მერიამ, ეს კი არაა მთავარი, არამედ რა შედეგი ჰქონდა ამას – რამდენით შემცირდა მოქალაქეთა მგზავრობის დრო, ან რამდენი ადამიანი გადაჯდა კერძო ავტომობილიდან ავტობუსზე? ქალაქის შედეგები იზომება იმით, თუ როგორ გაუმჯობესდება ქალაქში ადამიანების ცხოვრების ხარისხი, საცხოვრებელი გარემო. თუ ააშენებ 100 საბავშვო ბაღს და დააკმაყოფილებ ბავშვების 50%-ს, ეს გაუკეთებელი საქმეა! დანარჩენი 50% ბავშვები დაჩაგრე? გაკეთება იწყება 100%-დან, როდესაც იტყვი, რომ შენ საბავშვო ბაღებში გაქვს 5-10% დაუტვირთავი ადგილი და მზად ხარ, მოუწოდო მოსახლეობას შობადობის გაზრდისკენ.

რამდენი ხე დაირგო, ეს კი არაა საანგარიშგებო მაჩვენებელი, არამედ თუ რამდენი კვადრატული მეტრი მწვანე საფარი მოდის მოსახლეობის ერთ სულზე და შეძლო ქალაქმა თუ არა ცივილურ მაჩვენებლებზე გასვლა? როდესაც ეს მაჩვენებელი დღეს 3-ის ტოლია და უნდა იყოს 20 კვადრატულ მეტრზე მეტი, თქვენი შემოთავაზებული ტემპით როდის გადაიჭრება პრობლემა? 30-35 წლის შემდეგ?

მაჩვენებელია მშპ ქალაქში შექმნილი, საკუთარი შემოსავლებით ექსკლუზიური ფუნქციების რა წილს აკმაყოფილებს თბილისი, როგორია 5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობა, მცირე ბიზნესის განვითარება, უმუშევრობის დინამიკა და ა.შ.

საქმეს აწყობს სწორი შეფასება. ჩვენ ნარმანიას საქმიანობის უკეთ წარმოჩენა გვინდა თუ კალაძის წარმატებული საქმიანობა?

ვის აწყობს გადაჭარბებული შეფასება?

ნარმანიას პერიოდში მოქმედ პირებს.

ამასთან აწყობთ, რომ ყველაფერი ნეგატიური ნარმანიას „ჩამოეკიდოს“, თითქოს არ იყო საკრებულო, ადმინისტრაცია, თბილისის მთავრობა და ათასი ვიღაცა.

აბა, როგორ ავხსნათ, საკრებულოს მაშინდელი თავმჯდომარის მიერ გამოთქმული აზრი (10 ნოემბერი):

„დავით ნარმანიას ტროტუარებიც კი გაყიდული დახვდა – რა პირობებში უხდებოდა ამის გამოსწორება, ეს ცალკე თემაა.“

კი არ „დაგვხვდაო“, არამედ „დახვდაო“?!

კი არ „გვიხდებოდაო“, არამედ „უხდებოდაო“?!

დავით ნარმანიას თვითშეფასება 10-ბალიანი სისტემიდან 8 ბალია.

გარდა თვითშეფასებისა, არსებობს შეფასება გარედან, სხვის მიერ (ახლა არ ვიხილავ ამ საკითხს, მაგრამ თუ 1 მლნ ხის ნაცვლად, დარგე 700 ათასი, უკვე აქ 7 ქულაზე მეტი ვერ იქნება 10-დან და ასე უნდა შეფასებას გაყოლა ყველა 41 პუნქტში).

ეს შეფასება აუცილებელია მომავალი თბილისის მმართველებისთვის.

სიტუაციის რეალური შეფასება იმათ მიერ, ვინც უშუალოდ თბილისის მმართველობაში მონაწილეობით არაა დაინტერესებული უნდა იყოს განსაკუთრებით გასაგები. ინტერესი თბილისის წარმატებაა, რაც მისი წარმატებული მმართველობის გარეშე ვერ იქნება.

კახი კალაძე როდესაც დავით ნარმანიასთან დისტანცირების ანულირებას ახდენდა, ეს უკანასკნელი მას დღის წესრიგს უქმნიდა იმ საქმეებით, რომელიც მას უნდა დაესრულებინა და არ დაასრულა. ეტყობა, მას ბევრი მხარდამჭერი ჰყავს ამ საქმეში.

მიხეილ ჯიბუტი

(გაგრძელება იქნება)

ფინანსური პირამიდებით ერთ წელიწადში 4000 ადამიანმა იზარალა

ბოლო ერთი წლის განმავლობაში ფინანსური პირამიდებისგან მიყენებულმა ზარალმა 100 მილიონ ლარს მიაღწია, დაზარალდა დაახლოებით 4000 ადამიანი. მიუხედავად ცუდი გამოცდილებისა, ადამიანები მაინც ვერ ამბობენ „იოლ ფულზე“ უარს...

არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოება და ბანკების“ კვლევის შედეგად გაირკვა, რომ კომპანია „საქართველომ“ დააზარალა 2343 მოქალაქე და გაიფლანგა 81 მილიონი ლარი, კომპანია „ემეფიქს ბროკერ ჯორჯიამ“ — 111 ადამიანი და 4.2 მილიონი ლარი. კომპანია „ევროკრედიტის“ ზარალის მოცულობა კი, დაახლოებით, 3 მილიონ ლარს აჭარბებს.



დღესდღეობით საქართველოში სხვადასხვა პირამიდული სქემები არსებობს. ერთ-ერთი ქსელურ მარკეტინგზეა დაფუძნებული. კომპანიასთან ურთიერთობა შეძენილი ნივთით იწყება და მომხმარებლის აგენტად ფორმირებით სრულდება. ახალი მომხმარებლების მოზიდვით აგენტი პროდუქციის აქტიურ გაყიდვას და ქსელის გაშლას იწყებს. ერთი შეხედვით გამდიდრების საშუალება მოსალოდნელია წარუმატებლად დასრულდეს.

ფინანსურად დაზარალდება ყველა ის მომხმარებელი, ვინც ქსელში შედარებით გვიან გაწევრდა. მათ დარჩებათ ნივთი, რომლის საბაზრო ღირებულება გადახდილზე გაცილებით ნაკლებია. ზარალის შემთხვევაში, ამ ტიპის კომპანიებთან სამართლებრივი დავა შეუძლებელია, რადგან ნივთი საკუთარი ნებითაა შეძენილი და ხელშეკრულებით დამოწმებული.

„ფინანსური სექტორის განვითარების მაღალი დონე თაღლითურ კომპანიებს უბიძგებს, თავიანთი საქმიანობა საფინანსო სექტორის საქმიანობად გაასაღონ. ერთ-ერთი გავრცელებული სქემით ცდილობენ ბიზნესმოდელი მიკროსაფინანსო ორგანიზაციასთან გააიგივონ. ეს მათთვის საშუალებაა, მოიზიდონ დანაზოგები და გასცენ „უიმედო“ სესხები, რომლებიც არასდროს დაბრუნდება და ვერ შეძლებს მომხმარებელთა დანაზოგების გასტუმრებას. აღნიშნული ბიზნესის სტრუქტურა ყოველ მომდევნო შენატანზეა დაფუძნებული.

მომხმარებელი დანაზოგის განთავსებისას წინასწარ ირჩევს ხელშეკრულების ხანგრძლივობას და ვადის გასვლამდე თანხის დაბრუნება შეუძლებელია. ეს პუნქტი არის ე.წ. „პირამიდული სქემის“ მთავარი მამოძრავებელი. **როგორც კი, რომელიმე მსგავსი კომპანია ვერ შეძლებს ახალი მომხმარებლის მოზიდვას, წარმოიქმნება თანხის დაბრუნების მასშტაბური პრობლემა. კომპანიის სიცოცხლის ხანგრძლივობა რისკებს არ ამცირებს, დროთა განმავლობაში იზრდება დაზარალებულთა რაოდენობა“,** — აცხადებენ „საზოგადოება და ბანკებში“.

ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი **პაატა ბაირახტარი** ამბობს, რომ მიუხედავად ცუდი გამოცდილებისა, ადამიანები მაინც ვერ ამბობენ „იოლი ფულის“ ცდუნებაზე უარს.

„ფინანსური განათლების დონე ჩვენს ქვეყანაში არის ძალიან დაბალი. ფაქტის გამოვლენამდე კონკრეტულ ორგანიზაციებს, იქნება ის ფინანსური პოლიცია თუ ეროვნული ბანკი, სანქციების დაწესება არ შეუძლიათ. მარტივად და გასაგებად რომ ვთქვათ, სანამ არ გვეყოლება პირველი დაზარალებული, ეს სქემა ფინანსურ პირამიდად არ მიიჩნევა. ამიტომ ორგანიზაციის რღვევის დაწყებამდე კონკრეტული კომპანიის საქმიანობაში ჩარევა არ ხდება“, — აცხადებს ბაირახტარი.

პრობლემა იმ არასწორი რეგულაციების შედეგია, რომელიც ეროვნული ბანკის კანონში არის განსაზღვრული. ანალიტიკოსი **ანდრია გვიდიანი** ამბობს, რომ ფინანსური პირამიდების არსებობის რისკი საფუძველშივე უნდა აღმოიფხვრას:

„ეროვნული ბანკი კომპანიას რეგულირების ქვეშ მხოლოდ მას შემდეგ აქცევს, რაც იურიდიული პირი (გარდა კომერციული ბანკისა), ფინანსურ სახსრებს მოიზიდავს ოთხასზე მეტი ფიზიკური პირისაგან, ან იმ შემთხვევაში, თუ ფიზიკური პირებისაგან მოზიდული სახსრების ოდენობა ხუთ მილიონ ლარს აღემატება. ამ შემთხვევაში, კომპანია ვალდებულია, ეროვნული ბანკის მოთხოვნის შესაბამისად, გაიაროს რეგისტრაცია ეროვნულ ბანკში და დააკმაყოფილოს მის მიერ კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტისთვის დადგენილი მოთხოვნები. მანამდე კი არავითარი ვალდებულება არ ეკისრება. ასე გაგრძელება არ შეიძლება“, — აცხადებს გვიდიანი.

გეძა დანელია

! ღმერთს არ შეუქმნია ჰომოსექსუალური გენი!

„ღმერთი ჩვენთან არს“-ო, მაგრამ, ასე თუ გვინდა იყოს, ერი და ბერი უნდა გვივარგოდეს! სიტყვისამებრ ღმრთისა: „თუ ჩემი კანონის მიხედვით იცხოვრებ — დაგიცავ მტრისგან, თუ არადა — შვილებსაც მტრად გიქცევ“...

გენდერულ ბაგა-ბაღებში „გამოყვანილი ჯიშები“ რომ მტრად გვექცევიან, ამას დიდი შორსმჭვრეტელობა არ სჭირდება.

როგორც ხედავთ, არ დასჭირდა სსრკ-სავით 70 წელი დემოკრატიის ნიღაბს ამოფარებულ აგრესორ მსოფმთავრობის ბრჭყალების გამოჩენას, რომელიც გვაიძულებს სქესობრივად გაუკუღმართებული „ახალი ადამიანების“ სერიულ წარმოებას, ალბათ იმიტომ, რომ მათი მეფე-პატრიარქიც ასეთი იქნება, ანუ როგორებიც არიან — ისეთივე ანტიქრისტეს ამზადებენ...

ღმერთს არ შეუქმნია ჰომოსექსუალური გენი, არამედ ეს ხდება ყველაფრის გამფუჭებელი, გადამგვარებელი ეშმაკის ჩარევით, ანუ სწორედ მისი და მისი მოკავშირე ანტიქრისტეს რაზმის ხანგრძლივი მცდელობით სხივდება და იწამლება გარემო — საკვები, სამკურნალო, სასიცოცხლო ორგანიზმები... ეშმაკური მანქანებით ხდება ჰორმონალური ცვლილებები მამის, დედის და ჩანასახის არსებაში — ეს ხდება სხეულში და მეორეა, ის, რაც ხდება ფსიქიკაში, რომელიც ასევე იყოფა ადამიანის აღზრდითა და დემონის შთაგონებით მეთოდებად...

ეს უკანასკნელი, თავის მსხვერპლს იმ წარმართულ-მითოსური რწმენით ასაზრდოებს, რასაც, როგორც ფოლკლორისტ-დამკვირვებელი, ვარქმევ სქესობრივ რეინკარნაციას, ანუ — ბიჭი, თითქოსდა „წინა ცხოვრებაში“ გახლდათ გოგო... ასეთები ოპერაციასაც უტარებენ საკუთარ თავს, რომლის ისტორიულ წინაპრად უნდა მივიჩნიოთ ერთი ანტიკური კეისარი, რომელიც მივიდა ამ ეტაპამდე მას მერე, რაც იცვამდა ქალივით და იღებებოდა წითლად ტუჩ-ლოყებზე... ხოლო, ადამიანური აღზრდა-შთაგონების მეთოდი ისაა, რასაც გლობალისტური მსოფლიო გვავალდებულებს ამ გენდერულ-ნეიტრალური ბაგა-ბაღების სახით...

ქვემოთ გაეცანით „ალტ-ინფოს“ ინფორმაციას:

„ტელეკომპანია „იმედში“ გასული სიუჟეტის თანახმად, საქართველოს მთავრობამ უკვე მიიღო სკოლამდელი განათლების გენდერულად ნეიტრალური სასწავლო სტანდარტი, რომლის მიხედვითაც, ბაღებში ბიჭების და გოგონების გენდერული ნიშნით გამორჩევა არასწორია და აღმზრდელებმა ყველა ტიპის საქმიანობაში ბავშვების თანასწორად ჩართულობა უნდა უზრუნველყონ, ანუ მასწავლებლებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ბიჭები ტრადიციულად ბიჭებისთვის საინტერესო საქმიანობებით და გართობებით არ იყვნენ უპირატესად დაკავებულნი, ხოლო გოგოები — ტრადიციულად გოგოებისთვის საინტერესო საქმიანობებით და ისინი თანაბრად დაკავდნენ ყველა ტიპის გართობით და საქმიანობით.

სიუჟეტის თანახმად, იგეგმება ბაღების მასწავლებლების ახალი სტანდარტის მიხედვით გადამზადება.

ეს გენდერული იდეოლოგიის სასწავლო სისტემაში შეტანის პირველი ნაბიჯია. გენდერული იდეოლოგიის თანახმად, გენდერი ბიოლოგიურად განსაზღვრული მოცემულობა კი არა, სოციალური კონსტრუქტი და არჩევითი მდგომარეობაა. შესაბამისად, საბოლოო ვარიანტში **გენდერული იდეოლოგიის სასწავლო სისტემაში შეტანა აუცილებლად გულისხმობს უკვე ბაღის ასაკიდან ბავშვებისთვის იმის სწავლებას, რომ ტრანსგენდერობა ნორმაა, ხოლო გენდერი არჩევითი მოცემულობაა, გენდერულ იდენტობას ბიოლოგიური სქესი კი არა, ადამიანის არჩევანი და თვითგანცდა განსაზღვრავს და ამიტომ, ბავშვებმა თვითონ უნდა აირჩიონ, რომელ გენდერთან ახდენენ თვითიდენტიფიკაციას.**

სწორედ ეს გზა გაიარა გენდერული იდეოლოგიის სასწავლო სისტემებში შეტანის პროცესმა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში (სკანდინავიის ქვეყნებში, ბრიტანეთში და ა.შ.), სადაც პირდაპირ ბაღებში და სკოლებში ისწავლება, რომ გენდერი არჩევითი და არა ბიოლოგიური მოცემულობაა, ხოლო ტრანსგენდერობა არ არის პათოლოგია და სწორედ ამ პროცესის საწყის ეტაპს ვხედავთ ჩვენი საგანმანათლებლო სისტემის შემთხვევაშიც“.

ზვიად ნოდია

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის

ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია თავისი წესდების მე-X თავის შესაბამისად აცხადებს კონკურსს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის (აკადემიკოსად) ასარჩევად სამეცნიერო განყოფილებების შემდეგ ვაკანტურ ადგილებზე:

1. **აგრონომიულ სამეცნიერო განყოფილებაში** - სპეციალობა 0101 “აგრონომია”, სპეციალიზაცია: 010101 “აგროეკოლოგია”, 010103 “აგროტექნოლოგია” - 1 ადგილი;

2. **აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილებაში** – სპეციალობა 0415 “”აგროინჟინერია”, სპეციალიზაცია 041502 “სოფლის მეურნეობის მექანიზაცია” (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის) - 1 ადგილი;

3. **სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვის და გადამუშავების სამეცნიერო განყოფილებაში** – სპეციალობა 0104 “სასურსათო ტექნოლოგია” - 1 ადგილი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად) შეიძლება არჩეულ იქნეს საქართველოს მოქალაქე (აჭარის ა/რ შემთხვევაში იქ მცხოვრები), საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, აგრეთვე აგრარული მიმართულების მეცნიერების დოქტორის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე მეცნიერები, რომელთა შრომებს აქვთ მაღალი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა, აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ გამოყენებით და ფუნდამენტურ მეცნიერულ პრობლემათა დამუშავებაში, რომლებიც დაკავშირებულია ქვეყნის აგრარული სექტორის მეცნიერულ უზრუნველყოფასთან, იღვწიან მაღალკვალიფიციური სამეცნიერო კადრების მომზადებისათვის.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის (აკადემიკოსობის) კანდიდატის წამოყენების უფლება აქვთ: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს (წევრებს), სამეცნიერო ტრადიციების მქონე ინსტიტუტებს, ავტორიზებულ უმაღლეს სასწავლებლებს და სამეცნიერო საზოგადოებებს,

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსობის კანდიდატთა შესახებ აუცილებელია შემდეგი საბუთების წარმოდგენა (ორ ეგზემპლარად): აკადემიური საბჭოს, აკადემიის წევრის (წევრების), სამეცნიერო ტრადიციების მქონე ინსტიტუტების, ავტორიზებულ უმაღლესი სასწავლებლების და სამეცნიერო საზოგადოებების წარდგენა სათანადო დასაბუთებით; კანდიდატის ავტობიოგრაფია, სამეცნიერო ხარისხისა და წოდებების დამადასტურებელი დიპლომების ასლები, მონაცემები შრომითი და სამეცნიერო საქმიანობის შესახებ (CV, ძირითადი სამეცნიერო შრომების ჩამონათვალი), სამეცნიერო მოღვაწეობის შეფასება და ფოტოსურათი (4x6).

აღნიშნული განცხადება და კანდიდატების მონაცემები (CV) განთავსებული იქნება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვებ-გვერდზე www.gaas.dsl.ge.

საბუთები რეგისტრაციისა და არჩევნებში მონაწილეობისთვის იგზავნება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში. დოკუმენტაციის მიღება ხდება ზემოაღნიშნული განცხადების პრესაში ან აკადემიის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებიდან ორი კვირის განმავლობაში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0102 ი. ჯავახიშვილის ქ. №51, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია (ტელეფონები: 2 94-13-20. 2 94-13-21. 2 96-03-00) საბუთების მიღება იწარმოებს ყოველი სამუშაო დღის 10 საათიდან 17 საათამდე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია

გადამწყვეტი მაინც განათლების რეფორმა იქნება...

საგანგებო რეჟიმი პრემიერობისკენ სავალ გზაზე

ახალი ხელისუფლების პირობებში ყველაზე გრანდიოზულ სამთავრობო ცვლილებებს წინ უძღოდა, ერთი მხრივ, ოპოზიციის შეტევა პრემიერ-მინისტრზე, მეორე მხრივ, შს სამინისტროზე, უკმაყოფილება გაზრდილი ბიუროკრატიული ხარჯებისა და სოციალური მდგომარეობის მიმართ... გახდა თუ არა ეს ყველაფერი მიზეზი იმისა, რომ ამ მასშტაბის ცვლილებები განხორციელებულიყო. თუ ეს არის გავლენის ძალთა დანაწილება მას შემდეგ, რაც დედაქალაქის მმართველობა ჩაიბარა „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ანგარიშგასაწევმა ფიგურამ...

მიმდინარე პროცესზე ექსპერტი ხათუნა ლაგაზიძე გვესაუბრება.

— სტრუქტურული ცვლილებები მთავრობაში სრულიად ლოგიკურია და მისასალმებელია ის, რაც მოხდა, რადგან ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ ხელისუფლება თავისუფლად შეიძლებოდა ჩავარდნილიყო ხიბლში, რადგან, ფაქტობრივად, ტოტალურად მოიგო არჩევნები.

აქედან გამომდინარე, კარგია, რომ ის ხედავს იმ პრობლემებს, რომლის წინაშეც დგას — ხედავს საზოგადოების რეალურ განწყობებს, რომელიც იმ პროცენტების მიღმა იმალება, რაც „ქართულმა ოცნებამ“ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე მიიღო. ხედავს იმ გამოწვევებს, რომლის გადალახვაც სჭირდება.

ამისი გამოძახილია — გლობალურად თუ შევხედავთ დღევანდელ სამთავრობო ცვლილებებს — თუმცა, უფრო კონკრეტული მიზეზებიც აქვს, დაწყებული იმ ხმაურიდან, რომელიც შს სამინისტროს ირგვლივ, ბოლო ერთი წელია, არ წყდება, დამთავრებული ლარის კურსით და ა.შ.

თუმცა ამ ცვლილებებმა რამდენიმე საინტერესო კითხვის დასმის საშუალება გააჩინა — სამთავრობო ცვლილებები იყო აუცილებელი, მაგრამ რატომ მაინც და მაინც 13 ნოემბერს, რომელიც კახი კალაძის ბენეფისი უნდა ყოფილიყო, საზოგადოება უნდა გამხდარიყო თბილისის მერის მიერ ახალი მთავრობის წარდგენის მოწმე?! ეს მოვლენა გადაიფარა უფრო მნიშვნელოვანი — სამთავრობო ცვლილებით და თბილისის მთავრობის დაკომპლექტება რიგით მეორე ნიუსი გახდა.

— ხომ არ გვაქვს საქმე „ქართულ ოცნებაში“ ალტერნატიული პასუხისმგებლობისა და მიზიდულობის ცენტრებთან? — არ ვამბობ, რომ ისინი მაინცდამაინც დაპირისპირებულები არიან ერთმანეთთან, მაგრამ დღის ქრონოლოგიას თუ გადავხედავთ, საქმე გვაქვს სწორედ ალტერნატიული პასუხისმგებლობისა და მიზიდულობის ცენტრებთან...

როდესაც ვსაუბრობ ალტერნატიული პასუხისმგებლობისა და მიზიდულობის ცენტრებზე, ვგულისხმობ იმას, რომ ადგილობრივი არჩევნების წინ ივანიშვილი არ ჩაერია ღიად ამ პროცესში. მიზეზი გახლდათ, სავარაუდოდ, ის, რომ ივანიშვილი დაიღალა საკუთარი ხელისფლების შეცდომებზე პასუხისმგებლობის აღებით და მის მიერ მოყვანილი ხელისუფლება მიუშვა ნებაზე. შესაბამისად, დაწყებული თბილისის მერით და დამთავრებული ყველა ადგილობრივი ხელისუფალით, ყველა პასუხისმგებელი იქნება საკუთარ შეცდომებზეც და მიღწევებზეც. პირველ რიგში კი, ეს ეხება მილიონნახევრიანი დედაქალაქის მერს, ანუ პასუხისმგებლობას ჩაეხსნა ივანიშვილი თბილისთან დაკავშირებით.

მეჩვენება, რომ მსგავს პროცესთან გვაქვს საქმე სამთავრობო ცვლილებების შემთხვევაშიც, რომელიც კვირიკაშვილის პრემიერობის დროს ყველაზე მასშტაბურია არა მხოლოდ პერსონალიების, არამედ სტრუქტურული თვალსაზრისითაც და მასზე, ისევე როგორც ახალი მთავრობის შემადგენლობაზე კვირიკაშვილი უკვე თავად არის პასუხისმგებელი.

ამ შემთხვევაში შეგვიძლია ვთქვათ, რომ ივანიშვილი გადგა გვერდზე და პასუხისმგებლობის ახალი ცენტრი გაჩნდა კვირიკაშვილისა და მისი მთავრობის სახით.

ამავე დროს, საინტერესოა, გაჩნდება თუ არა მესამე ცენტრი, საპრეზიდენო კანდიდატის სახით და რომელი გუნდიდან იქნება ის წარმოდგენილი...

— ამ შემთხვევაში ძალთა ბალანსისთვის როგორი ფიგურაა საჭირო პრეზიდენტის პოსტზე? სავარაუდოდ, მძიმეწონოსანი პოლიტიკური ფიგურა უნდა შემოვიდეს პოლიტიკურ საჭადრაკო დაფაზე?

— ამაზე ლაპარაკი ნაადრევია, რადგან ჯერ არ არის ცნობილი, საჭირო იქნება თუ არა საპრეზიდენტო კანდიდატი იგივე კალაძის დასაბალანსებლად, მისი მზარდი ამბიციების და რეიტინგის გათვალისწინებით — ამაზე იქნება დამოკიდებული, როგორ საპრეზიდენტო კანდიდატს შემოგვთავაზებენ. ნარმანიას ტიპის მართვად ფიგურას, რომელიც ვერასდროს და არასდროს არ შექმნის ალტერნატიული მიზიდულობის ღერძს თუ პირიქით, კონკურენტუნარიან კანდიდატს, რომელიც შექმნის ალტერნატიული მიზიდულობის ცენტრს და კონკურენციას კიდევ უფრო გაღმავებს.

როდესაც ვსაუბრობ კონკურენციაზე, ვგულისხმობ კონკურენციას, როგორც მასტიმულირებელ ეფექტს, რომელიც ამოძრავებს ალტერნატიულ იდეებს, აზრებს, ხედვებს, როდესაც ხდება აზრთა შეჯერება, ახალი ლიდერების გამოკვეთა და ა.შ. ანუ გაცილებით ინტერაქტიურ რეჟიმში გადავიდა „ქართული ოცნება“, რაც არის ძალიან კარგი.

— როდესაც ასე ლაგდება პოლიტიკური მიზიდულობის ცენტრები, სად ხედავთ ოპოზიციის ადგილს პოლიტიკურ დაფაზე?

— ამ ეტაპზე ვერსად და შეიძლება წავიდეთ იმავე წრეზე, რომელზეც ქართული პოლიტიკა 25 წელია, დადის, ანუ ალტერნატიული პოლიტიკური ძალის ჩანასახი სწორედ „ქართული ოცნების“ შიგნით ვიხილოთ.

— თუმცა დღევანდელი მთავარი ოპოზიციური ძალა ირწმუნება, რომ ამ სამთავრობო ცვლილებებით წინა პლანზე წამოსწიეს ბიძინა ივანიშვილთან დაახლოებული ადამიანები. რჩება განცდა, რომ ამ პროცესებში ივანიშვილია ჩართული?

— არაერთხელ მოგვისმენია, რომ შესაძლოა, კვირიკაშვილი იყოს ხელისუფლების საპრეზიდენტო კანდიდატი, არაერთხელ თქმულა ქუმსიშვილზეც და ბახტაძეზეც, რომ შეიძლება, გახდნენ პრემიერ-მინისტრები. თუ ამ ხაზს გავყვებით და კვირიკაშვილი მართლაც აღმოჩნდა „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი, მაშინ არ გამოვრიცხავ, რომ, ერთი მხრივ, მამუკა ბახტაძე და, მეორე მხრივ, ქუმსიშვილი, რომელსაც ნახევარი მინისტრთა კაბინეტი გაუერთიანეს და ჩააბარეს, იმყოფებოდნენ სატესტო რეჟიმში პრემიერობისკენ სავალ გზაზე — ეს სრულიად რეალისტურია.

— საზოგადოებისთვის, მით უმეტეს, როდესაც ის სოციალური პრობლემებით არის დამძიმებული, ნაკლებად საინტერესოა სამთავრობო გადაჯგუფებები და ექსპერიმენტები — საუბარია ბიუროკრატიული ხარჯების შემცირებაზე. რა იქნებოდა სასურველი გადაწყვეტილება, რომელ სფეროს უნდა მოხმარდეს გამოთავისუფლებული სახსრები, რომ ქვეყნისთვის სასარგებლო ნაბიჯი გადაიდგას?

— ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება იქნებოდა გამოთავისუფლებული სახსრების მიმართვა განათლებისკენ, მით უმეტეს, რომ განათლების მინისტრის კანდიდატურა ამის საშუალებას იძლევა. სრულიად ახალი პარადიგმა უნდა შეიქმნას ქართული განათლების, რომელიც მიმართული იქნება საქართველოში ტექნოლოგიური და ინოვაციური რევოლუციის მოსაწყობად. ამისი რესურსი საქართველოში არსებობს —ახალციხის სკოლის მოსწავლეებმა ნასაში გაიმარჯვეს სრულიად დამოუკიდებლად, შიშველი ხელებით. მათთვის შესაფერისი თანამედროვე გარემო რომ შეიქმნას, წარმოიდგინეთ, რას მიაღწევს ეს თაობა!

ყველაზე დადებითი, რაც განათლების მინისტრის ბიოგრაფიაშია, ბევრ სხვა რამესთან ერთად, ისიცაა, რომ სწორედ ამ სფეროში აქვს აკადემიური გამოცდილება — მაღალ ტექნოლოგიებში. თუ ახალი მინისტრი შეძლებს, მენეჯმენტშიც ისეთივე წარმატებული იყოს, როგორც აკადემიურ საქმიანობაში, ეს იქნება ამ ხელისუფლების ყველაზე დიდი მიღწევა, რომელიც ბევრ უარყოფითს გადაფარავს.

საქართველოს არც ერთ მთავრობაში არ მინახავს ასეთი წარმატებული ბიოგრაფიის მქონე ადამიანი და ამ გამოცდილებას თუ გამოთავისუფლებულ ფინანსებსაც წაახმარენ, ვფიქრობ, ცუდი არ იქნებოდა.

— ამ ხელისუფლების პირობებში ეს არის ყველაზე მასშტაბური სამთავრობო ცვლილებები. პირველი შედეგების შეფასება შესაძლებელი იქნება რამდენიმე თვეში, თუ კიდევ 3-4 წელი მოგვიწევს ლოდინი, როდის აგვისრულდება ოცნება?

— პირადად ჩემთვის, ამ ცვლილებების ბარომეტრი იქნება განათლების რეფორმა — 3-დან 6 თვემდე პერიოდში, ალბათ, დაიდება ამ რეფორმის ხედვა და ამის შემდეგ, ალბათ, უკვე შესაძლებელი იქნება უფრო კონკრეტული საუბარი.

ესაუბრა
ლალი ზირაქიშვილი

მღვდლებმა მოსწავლეები ვერტმფრენიდან აკურთხეს

ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფლების შილდის, გრემის, ენისელის, ალმატის და საბუეს სკოლებში გრემის მონასტრის სასულიერო პირებმა ბავშვები ვერტმფრენიდან აკურთხეს და კანფეტები ჩაუყარეს. შილდის N1 სკოლის მოსწავლეების თქმით, ისინი აქციის შემდეგ სკოლაში აღარ დაბრუნდნენ და გაკვეთილები გააცდინეს.

შილდის N1 საჯარო სკოლის დირექტორი ზაიარა არევაძე სკოლაში სასწავლო პროცესის ჩაშლას არ ადასტურებს.

სასულიერო პირები მსგავს აქციას რომ გეგმავდნენ, მოსწავლეები მასწავლებლებმა გააფრთხილეს, მასწავლებლების თქმით კი, ეს ინფორმაცია სკოლის დირექტორებისგან მიიღეს.

„დიდი დასვენების ფარგლებში გავიდნენ ბავშვები გარეთ. მამა იოანემ და მამა მარკოზმა კანფეტები ჩამოყარეს ვერტმფრენიდან. მერე ისევ სკოლაში დაბრუნდით და სწავლა გაგრძელდა“, — უთხრა „რეგინფოს“ საბუეს საჯარო სკოლის დირექტორმა ვალენტინა შაბლიკმა.

„მამა იოანემ დამირეკა, ვერტმფრენით გადმოვიფრენთ და ბავშვები გარეთ დაგვახვედრეთ, გავახარებთო. დასვენებაზე ბავშვები ეზოში იყვნენ და კანფეტები ჩამოუყარეს“, — აღნიშნავს ენისელის საჯარო სკოლის დირექტორი კონსტანტინე ცხოვრებაძე.

ყვარლის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსის ქეთევან ჭიპაშვილის განცხადებით, სკოლებში ვერტმფრენიდან კანფეტების ჩაყრის და კურთხევის შესახებ მან აქციის შემდეგ შეიტყო.

მამა იოანეს თქმით, თვეში ერთხელ სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენის დახმარებით, ისინი ეპარქიის საზღვრებს აკურთხებენ, „ზოგჯერ კი ბავშვებსაც გაახარებენ ხოლმე“: „დღესაც სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენი დაგვეხმარა. გნებავთ, შინაგან საქმეთა სამინისტროს დაუკავშირდით, ყველაფერი იციან. სკოლის დირექტორებს ვთხოვეთ, რომ ბავშვები გარეთ ყოფილიყვნენ, კანფეტები ჩავუყარეთ და დავლოცეთ. მომავალ წელს სხვა სკოლებში ჩავყრით კანფეტებს და ვაკურთხებთ“.

აჭარაში გიდების ტრენინგები გრძელდება

აჭარაში გიდების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ტრენინგები გრძელდება. აჭარის ტურიზმის დეპარტამენტში 22 მოქმედ გიდს ტრენინგ-კურსი ბათუმის ტურისტული მარშრუტის მიმართულებით უტარდება. თეორიული ლექციებისას განსაკუთრებული ყურადღება ბათუმის ისტორიას, ქალაქის ძველ და ახალ არქიტექტურას, აჭარის ეთნოგრაფიას, აჭარის ისტორიას, ფსიქოლოგიას და გიდის ხელოვნებას ეთმობა. სალექციო კურსი ასევე მოიცავს პრაქტიკული ტურების დაგეგმვას გონიოაფსაროსის ციხესა და ქალაქ ბათუმში.

დეპარტამენტში 78 გიდი მთიანი აჭარის 4 ტურისტული მარშრუტისა და ბათუმის ტურის მიმართულებით გადამზადდა. წლის ბოლოსთვის კი მათი რაოდენობა 100-მდე გაიზრდება.

„ძენი მუსიკის, დღენი ქარიშხლის“

შესავალი ბიოგრაფიული რომანისა მერაბ კოსტავაზე



კონსტანტინე გამსახურდია-უმცროსი ეჭვით უყურებდა თანამედროვე სწავლულ ბიოგრაფოსებს.

ჯერ ისედაც გულდასმით ეცნობოდა ამ ჟანრს, და მითუმეტეს — ემიგრაციაში გადახვეწილსა და შვეიცარიულ დროში აღმოჩენილს უფრო მიუწვდებოდა ხელი თანადროულ ბიოგრაფიულ ნიმუშებზე, ცალკეულ ქმნილებათა გარდა დიდად აღფრთოვანებული რომ არა რჩებოდა და ზოგადი ფონი ასე გამოიკვეთებოდა მის წინაშე: სჩვევიათ ადამიანურ, ოღონდ მეტისმეტად ადამიანურ მხარეებზე ყურადღების გამახვილება და მათი აღბეჭდვაო.

მაშ ის სჯობდა, რაც რჩეულ პიროვნებათაგან, კერძოდ კი გმირისაგან რაც რჩებოდა ხალხის ხსოვნაში?

სამაგალითოდ რომ წარმოგვიდგებოდა, პარადიგმულად და ხშირად ლეგენდური ეფექტებით შემოსილადაც.

მეტისმეტად ადამიანური მხარეების წარმოჩენას ეგებ ისევ ეს სჯობდა, მაგრამ... ამ შემთხვევაში საფრთხედ ის ეჩვენებოდა, რომ:

გმირისაგან თანდათან შეიძლება დარჩენილიყო მითოლოგიზებულ-სქემატური ხატება, რომელიც აზროვნების გვერდის ავლით იმოქმედებდა ადამიანებზე და... ეს კი საფრთხეს შეიცავდა, და საკმაო საფრთხესაც, რაც იმ პირველ შემთხვევაში ასე იჩენდა თავს:

აქ მოსალოდნელი გახლდათ უმთავრესის დაკარგვა ყოფისა და „ძალზე ადამიანური“ მხარეების ჭარბად წარმოჩენისას.

ამიტომაც აღარაა გასაკვირი ის უნდობლობა, რასაც იჩენდა თანადროულ ბიოგრაფოსთა მიმართ.

და არც მერაბ კოსტავას პიროვნება და ცხოვრება ემეტებოდა მათ საჯიჯგნად თუ არა, გასაუფასურებლად მაინც, კაცისა, რომლის მრავალმხრივი მნიშვნელობაც ჯერაც არ გახლდათ აზროვნების თვალით ყოველმხრივ დანახული, ამ დაუნახაობას არც ობიექტური მიზეზები აკლდა და არც სუბიექტური.

არც ხელისუფლების ხრიკები და ფარისევლობა დაიფარებოდა მისთვის, ხელისუფლებისა, რომელსაც თუკი არჩევანზე დაუდგებოდა საქმე, ზვიად გამსახურდია თუ მერაბ კოსტავაო, რა გასაკვირია, მაინც მერაბ კოსტავა რომ ერჩივნა, ოღონდ ლოზუნგებისა და პლაკატების მერაბი: მაღალფარდოვანი, ტრაფარეტული ეპითეტებით შემკული და... ამ მაღალფარდოვნებასა და ტრაფარეტულობაში ჩაძირული და... პირწმინდად გამქრალი.

ხოლო ის ადამიანები, რომელთაც გულით სწადდათ, გარკვეულიყვნენ ამ პიროვნების ხასიათის თავისებურებასა და ღვაწლის რაობაში?

მერაბ კოსტავა ხომ ათი წლით მოწყვეტოდა საქართველოს, და როდესაც დაბრუნდებოდა, დრო ისე აჩქარდებოდა და ყოველივე ისეთი სისწრაფით ჩაიქროლებდა, რომ ბევრი რიგიანადაც ვერ მოასწრებდა თვალის შევლებას მისთვის.

და რაც დღეს ჩანდა?

კონსტანტინე გამსახურდია-უმცროსი ელვარე კვალს შეადარებდა, მეტეორი რომ ტოვებს ხოლმე ღამეულ ცაზე.

თვითონ კონსტანტინე თავს ვერ იდებდა ბიოგრაფოსობას — არ გახლდათ მისი ჟანრი, ოღონდ თავისებურ გზამკვლევს კი შექმნიდა ესეის სახით — „იგი სიკეთით გახლდათ საცნობი...“

ნიშანდობლივ მხარეებსა თუ გარემოებებს გამოამზეურებდა, თუმც მოკრძალებით აღნიშნავდა: მსურს, გავიხსენო ზოგი რამ მერაბ კოსტავას მონაყოლიდან, ზოგიც ნანახი საკუთარი თვალითო.

თვითონ ვერ იდებდა თავს, მაგრამ ძალიან კი უნდოდა, რომ ცხოვრების ეს ქრონიკა დაუწერელი არ დარჩენილიყო, თანაც დროულად, და აუცილებლად ისე, ბიოგრაფოსს მეტ-ნაკლები წარმატებით გაევლო მითოლოგიზების სცილასა და მეტისმეტად ადამიანურის ქარიბდას შორის.

გაიხედავდა, გამოიხედავდა გონების თვალით...

აშკარად ვიღაცას დაეძებდა...

და როდესაც მოთავდებოდა ჩემი რომანი-დილოგია ზვიად გამსახურდიაზე — „ეკლის გვირგვინი“, ერთხელაც თითქოს სხვათა შორის მოადევნებდა:

— კარგი იქნება, თუ მერაბ კოსტავაზეც დაწერ... თუნდ ამხელა არც იყოს და ბიოგრაფიული რომანის მაგივრად ბიოგრაფიული ნატეხები გამოვიდეს, მაინც კარგი იქნება... ამავე სტილში, ოღონდ მათ სიჭაბუკეზე თუ გაამახვილებ ყურადღებას, დისიდენტური ხანის დასაწყისზე, „ეკლის გვირგვინში“ ნაკლებად რომ არის.

— მათ სიჭაბუკეზე იქაც ხომ მაქვს, ნატეხების ჟანრის წიგნში „აღსარება გურამ დოჩანაშვილისა“?

— ეგ კი, მაგრამ სხვა რამეს ვგულისხმობ — როგორ მოდის ორივე მუსიკიდან და ფილოსოფიიდან, ლიტერატურიდან თავისთავად, მაგრამ სწორედ ფილოსოფიიდან... განსაკუთრებით მაინც მუსიკიდან... დიდი გავლენა ჰქონდა ორივეზე მუსიკას, შეიძლება ითქვას, კომპოზიტორთა ჰანგებიდან არიან შობილნი.

— მითოსური გმირებივით?

გამეღიმებოდა და გაიცინებდა ისიც:

— ჰო, რაღაც ეგრე გამომივიდა, არადა მითოლოგიზება რომ არ მინდა, ამიტომაც მეიმედება შენი... იქნებ მუსიკიდან ამოზარდო... ყოველ შემთხვევაში სიჭაბუკე გამოიკვეთოს, ის მყარი ფუნდამენტი, რამაც არსებითად კიდეც განსაზღვრა მათი ბედისწერა — ცხოვრების წესიცა და აღსასრულიც.

დაპირებით არას დავპირდებოდი.

არამარტო იდეას მთავაზობდა საგულვებელი წიგნისა, არამედ — ფორმასაც და კომპოზიციურ ქარგასაც, მზამზარეულს, მასალის ჩალაგებაღა რომ ესაჭიროებოდა, მაგრამ... ის, რაც სავსებით ბუნებრივი იქნებოდა მისთვის, ბიოგრაფიულ რომანს თავის ჟანრად თუ მიიჩნევდა, შორეული აღმოჩნდებოდა ჩემთვის.

მუსიკას ვერ ჩავუფენდი ფონად თხრობას, ვთქვათ, რომენ როლანი როგორც მოიქცეოდა, ან მარსელ პრუსტი თუ ჯეიმზ ჯოისი, ანდა რაინერ მარია რილკე, ან კიდევ თომას მანი... თუმც იქ რა გვინდა, საფრანგეთში, ინგლისსა თუ გერმანიაში, როდესაც ქართულ ენობრივ სივრცეში წარმატებით მიმართავდნენ ამ მეთოდს თუნდ გურამ დოჩანაშვილი, ან ოთარ ჩხეიძე, ანდა ნაირა გელაშვილი თუ ნიკა სანებლიძე: თუ როგორ მოდის მუსიკიდან ადამიანი, როგორ წარმართავს მის არსებობას სხვადასხვა ჰანგი თუ მელოდიური სტილისტიკა-მოდულაციები, და ეს განწყობილება საგრძნობი იქნებოდა თხრობის მანერითაც, სტრიქონებს შორის იდუმალად რომ ჩაეფინებოდა.

ეს ის შემთხვევა გახლდათ, თან მძაფრად რომ გიტრიალებს გულსა და გონებაში რაღაც სურვილი, და... თან მიუწვდომელია შენთვის, ისე მიუწვდომელი, მოსინჯვადაც კი არა ღირს.

და აი თემურ ქორიძის ესეიში „ბედნიერი წუთი“ — ასევე გზამკვლევად რომ წაადგება ყველას, ვინც ამ უჩვეულო კაცის ხასიათის ღრმა შრეებში ჩახედვას მოიწადინებს — უნდა ამომეკითხა ის ფრაზა, მერაბ კოსტავას ბიოგრაფიული ქრონიკა უკვე ხელისგაწვდენაზე რომ აღმოჩნდებოდა ჩემთვის, რადგანაც რომანის ფორმაც და კომპოზიციური ქარგაც, ის ფრაზა რომ მიკარნახებდა თავისთავად და ძალდაუტანებლად, სწორედაც საჩემო აღმოჩნდებოდა და აღარ დამჭირდებოდა სინანულნარევი ნატვრა: ნეტა მეც შემძლებოდა-მეთქი...

მთავარია, უხიფათოდ გავცდენოდი მითოლოგიზების სცილასა და მეტისმეტად ადამიანურის ქარიბდას.

ეს ისე, ყოველი შემთხვევისათვის, თავი რომ დამეზღვია, თორემ განა რა უნდა დამმართნოდა, როგორც ვწირავდი, ამჯერადაც ისევე რომ არ მეწირა!..

* * *

მაინცდამაინც ჩემი ხელით არა, მაგრამ მერაბ კოსტავაზე ბიოგრაფიული რომანის შექმნის აუცილებლობას მანამდეც ვგრძნობდი და ამიტომაც გამახარებდა გამოცემა ნინო მიქიაშვილის წიგნაკისა „მერაბ კოსტავა (წინაპრები, მოწამეობრივი ცხოვრება, აღსასრული)“ (2013), ზედმიწევნითი სიზუსტით რომ აღადგენდა ეროვნული გმირის ბიოგრაფიულ ქარგას — ამ გამოთქმის პირდაპირი მნიშვნელობით, ოღონდ მშრალად კი არა (თუმც ესეც დასაფასებელი იქნებოდა), არამედ საკმაოდ ცოცხლად და ხატოვნად.

ესეც კიდევ ერთი გზამკვლევი.

თანაც ჟურნალისტი ფინალში მკითხველს ამცნობდა, რომ: კვლავაც აგრძელებდა გაცნობა-შეგროვებას მოგონებებისა და დოკუმენტური მასალისა, 2010 წლიდან დაწყებულ საქმიანობას, და მალევე წარუდგენდა მეორე წიგნსაც, რომელშიც მხატვრულ-დოკუმენტურად აისახებოდა ინფორმაცია მერაბ კოსტავას ცხოვრების, მოღვაწეობისა და აღსასრულის შესახებ.

წიგნაკი ისეთ შთაბეჭდილებას დატოვებდა ჩემზე, საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზიის „ერთსულოვნება“ დილის პროგრამა „განთიადში“ წიგნების მიმოხილვის ციკლში მოწონებას რომ გამოვთქვამდი ნინო მიქიაშვილის ამ წიგნაკზე, ვუსურვებდი, რომ: ის მხატვრულ-დოკუმენტური თხზულება საგრძნობლად შეევსო და ბარემ ბიოგრაფიულ რომანადაც ექცია.

მაშინ მე თვითონ ასეთი განზრახვა აინუნშიც არა მქონია.

და აკი ვერც კონსტანტინე გამსახურდია-უმცროსის შემოთავაზება ამიყოლიებდა.

მაგრამ... რაც ბედად გიწერია, სად წაუხვალ, ანკი რატომ უნდა წაუხვიდე!..

* * *

ბიოგრაფიული რომანის ცალკეული ნიშნები ლუარა სორდიას მონოგრაფიაშიც რომ იელვებდა — „მერაბ კოსტავას პოეზია“?

ეგაა — მხოლოდ ცალკეული და მხოლოდღა იელვებდა, სწორედ იმ დოზით, ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური პორტრეტის გამოკვეთას რომ ესაჭიროება. ამით მოგვაგონებს სწორედ ეს ორი ჟანრი ერთმანეთს — ბელეტრისტული ეპიზოდებითა თუ პასაჟებით, ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური პორტრეტი უაღრესად დაწურულ ბიოგრაფიულ რომანადაც რომ წარმოგვიდგება ხოლმე.

ლუარა სორდიას მონოგრაფია ლიტერატურათმცოდნეობითი ნაშრომი რომ არის და მკაცრ მეცნიერულ მეთოდზე ამოზრდილი, ეს ხელს ვერ შეუშლიდა მკვლევარს, შიგადაშიგ ჩაეფინა ის დაკვირვებანი თუ პასაჟები, ამ მეთოდს რომ სცილდებოდა და ხელშესახებად გამოჰკვეთდა მონოგრაფიის გმირის სახებასაც, რაც წიგნს ცოცხალ საკითხავადაც აქცევდა.

თუმც ესაა და ეს.

ამ აღნაგობისა და ფორმის თხზულება ბიოგრაფიულ რომანად ვერ გადაიქცევა, გინდ ახალი თავებიც ჩაემატოს ანდა ბელეტრისტული ჩანართებითაც შეივსოს.

მას იმთავითვე ზუსტად განსაზღვრული ფორმა აქვს და იმ ჩარჩოში მიედინება, ოღონდ მიედინება ისეთი ექსპრესიით, ამ მხრივაც რომ ახდენს ღრმა შთაბეჭდილებას — მთავარი გმირის მონუმენტური პორტრეტის შესაფერს. და განგაცდევინებს ამ პოეზიის მადლსა და თავისებურებასაც და მისი ავტორის სულიერ მღელვარებასაც, კიდევ ერთ გზამკვლევად რომ წაგადგება ამ პიროვნულ გარსში შესაღწევად, მერაბ კოსტავას საიდუმლოება რომ ჰქვია.

როგორ იტყოდა მისი სიყრმის მეგობართაგანი?

ჩვენ ყველასა გვაქვს ჩვენი საიდუმლოება, მაგრამ ხანდახან არ ვიცით ხოლმე.

* * *

მაგრამ... რაც ბედად გიწერია, სად წაუხვალო...

ანკი რატომ უნდა წაუხვიდეო!..

გამაღიზიანებელი კი, უშუალო გამაღიზიანებელი ისეთი რამ შეიძლება აღმოჩნდეს, სულ რომ არ მოელი.

და ახლა... ახლა უკვე მთავარია უხიფათოდ გავცდენოდი მითოლოგიზების სცილასა და მეტისმეტად ადამიანურის ქარიბდასო...

* * *

უმცროსი კონსტანტინეს იდეის დაკარგვაც რომ მენანებოდა?!

და მუსიკისაგან შობა იქნებ სახელწოდებაში მაინც გახმიანებულიყო, მკვეთრი მინიშნება მისიც — და ამ ორთაც — იატაკქვეშა, საპროტესტო მოღვაწეობის იდუმალ საწყისზე, ძალაუნებურად რომ დაგებადებოდა ეს სიტყვათშეთანხმება: ძენი მუსიკის...

მაგრამ თითქოს რაღაც აკლდა.

და უეცრად რომ წამოტივტივდებოდა ცნობიერებაში ზვიად გამსახურდიას გამოსათხოვარი ესეის სათაური — „ძე ქარიშხლისა“, ვიგრძნობდი, რომ ამ ორი სიტყვის გაშლა ასეც შეიძლებოდა: „ძენი მუსიკის, დღენი ქარიშხლის“.

* * *

ხოლო ის ფრაზა, ის ნანინანატრი ფრაზა თემურ ქორიძის ესეიში ამოკითხული...

როსტომ ჩხეიძე

ნინო ბურჯანაძე: საქართველოს ისეთი პრეზიდენტი სჭირდება, როგორიც ვლადიმერ პუტინია

გერმანული ტელერადიოკომპანია Deutsche Welle-ს ჟურნალისტმა, პროგრამა „ნემცოვა. ინტერვიუების“ წამყვანმა ანა ნემცოვამ ინტერვიუ ჩამოართვა ოპოზიციონერ პოლიტიკოსს, პარტია „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ ლიდერს ნინო ბურჯანაძეს, რომელმაც რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინისადმი სიმპათიებზე და საქართველოს ექსპრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ავტორიტარულ მმართველობაზე ისაუბრა.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გვთავაზობს ინტერვიუს შინაარსს:

ნინო ბურჯანაძის აზრით, საქართველოში ყველაზე დემოკრატიული მმართველობა ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, მან თავი ვერ გაართვა ქვეყნის საშინაო პრობლემებს. ყველაზე ავტორიტარული რეჟიმი კი ქვეყანაში ე.წ. პროდასავლური პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მმართველობის ჟამს დამყარდა, 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, რომელშიც თვითონ ნინო ბურჯანაძეც მონაწილეობდა. მისი თქმით, მიხეილ სააკაშვილის მმართველობის ავტორიტარული სტილი მოგვიანებით გამოვლინდა, თავდაპირველად თითქოსდა არ ჩანდა, რადგან ავტორიტარიზმი თანდათან ყალიბდება. ამასთან, ნინო ბურჯანაძემ აღნიშნა, რომ ამჟამინდელი გადასახედიდან იგი მაინც მიიღებდა „ვარდების რევოლუციაში“ მონაწილეობას, რადგან რადიკალური ნაბიჯების გადადგმა იყო აუცილებელი — შევარდნაძის პრეზიდენტობის ბოლო პერიოდში დემოკრატია უკვე ანარქიაში გადადიოდა, საჭირო იყო კორუფციის ალაგმვა, ბიუროკრატიის წინააღმდეგ ბრძოლა... ქვეყანა ქაოსში იძირებოდა. რევოლუცია ერთადერთი საშუალება იყო სიტუაციის გამოსასწორებლად. „ამასთან, ყოველთვის ვნანობ, რომ იმ დროს ედუარდ შევარდნაძე ვერ დავარწმუნეთ იმაში, რომ საპარლამენტო არჩევნები განმეორებით დაენიშნა“, — ამბობს ნინო ბურჯანაძე, — ჩვენ თავდაპირველად არ ვითხოვდით მის გადადგომას. ვაცნობიერებდით, რომ ძალიან ახალგაზრდები ვიყავით იმისთვის, რომ ქვეყანაზე პასუხისმგებლობა აგვეღო“.

კითხვაზე, **„რამდენად სამართლიანია ვლადიმერ პუტინისა და მიხეილ სააკაშვილის ერთმანეთთან შედარება იმ თვალსაზრისით, რომ რუსეთის პრეზიდენტიც ავტორიტარულ ლიდერს წარმოადგენს“, ნინო ბურჯანაძე პასუხობს, რომ იგი არავითარ შემთხვევაში ამ ორ ლიდერს ერთმანეთს არ შეადარებს: „ვლადიმერ პუტინი სერიოზული პოლიტიკოსია, იგი სერიოზული ადამიანია. იგი ისეთი ლიდერია, რომელმაც იცის, თუ რა სჭირდება მის ქვეყანას და აკეთებს კიდეც. მისგან განსხვავებით, მიხეილ სააკაშვილი იმპულსური ადამიანია. დასავლეთში ვლადიმერ პუტინს რომ აკრიტიკებენ როგორც ავტორიტარულ ლიდერს, ხოლო მიხეილ სააკაშვილზე მსგავსს არაფერს ამბობენ, ორმაგი სტანდარტების მაგალითია...დიახ, რუსეთში არის პრობლემები დემოკრატიასთან მიმართებით, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ რუსეთი ავტორიტარული სახელმწიფოა. იქ მასმედია თავისუფალია. 10-15 და გინდაც 20 წელიწადში დემოკრატიის აშენება შეუძლებელია — ვერც დიდ რუსეთში და ვერც პატარა საქართველოში. ეს ჩვენ მშვენივრად დავინახეთ“.**

ნინო ბურჯანაძეს ეჭვი არ ეპარება, რომ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში კვლავ ვლადიმერ პუტინი გაიმარჯვებს: **„მან მუხლებზე დაჩოქილი რუსეთი ფეხზე წამოაყენა. აბა, შეადარეთ ერთმანეთს დღევანდელი და 10-15 წლის წინანდელი რუსეთი. ვისურვებდი, რომ საქართველოსაც ისეთი პრეზიდენტი ჰყავდეს, როგორიც ვლადიმერ პუტინია... არ დავიწყებ იმის მტკიცებას, რომ იგი იდეალური ადამიანი და პრეზიდენტია, მაგრამ ვლადიმერ პუტინი თავისი ქვეყნის ინტერესებს იცავს. მიხეილ სააკაშვილი უფრო მეტად არღვევდა ადამიანის უფლებებს და ზღუდავდა ოპოზიციას, ვიდრე ეს რუსეთში ხდებოდა, მაგრამ მას მაინც „დიდ დემოკრატს“ უწოდებდნენ, პუტინს კი ავტორიტარად მიიჩნევენ. რატომ?“.**

„მე ჩემს თავს პრორუსულ პოლიტიკოსად არ ვთვლი, მე პროქართული პოლიტიკოსი ვარ. მიმაჩნია, რომ რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის გარეშე საქართველოს ინტერესები რეალიზებული ვერ იქნება. კარგია ეს თუ ცუდი — პრორუსული პოლიტიკოსის იარლიყი? რა თქმა უნდა, ცუდია, რადგან მსგავსი იარლიყის ტარება არაკომფორტულია. ეს ყველაფერი „იარლიყების მიკერება“ თავის დროზე მიხეილ სააკაშვილმა დაიწყო, როცა მასთან ბრძოლა გადავწყვიტე. მე ვხედავდი, თუ როგორ ხუჭავდნენ თვალს ჩემი დასავლელი მეგობრები მიხეილ სააკაშვილის მიერ კანონის დარღვევებზე, როგორ უსამართლოდ გვექცეოდა მე და ჩემს თანამებრძოლებს და ეს ყველაფერი იმის გამო, რომ ჩვენ „პრორუსულობის“ იარლიყი მოგვაკერა. ეს ჩვენთვის ძალიან მტკივნეული იყო. პირდაპირ გეტყვით, რომ მაშინ ძალიან შემეპარა ეჭვი ნამდვილ დასავლურ ფასეულობებში“, — ამბობს ინტერვიუში ნინო ბურჯანაძე.

— ვის ეკუთვნის დღეს რეალურად საქართველოში ხელისუფლება? რამდენად სწორია მტკიცება, რომ ყველაფერს ბიძინა ივანიშვილი აკონტროლებს?

— იცით, ეს ძალიან მტკივნეული საკითხია. ბიძინა ივანიშვილმა ნამდვილად დიდი და სერიოზული წვლილი შეიტანა იმაში, რომ საქართველოში ხელისუფლება უსისხლოდ შეიცვალა და მიხეილ სააკაშვილი წავიდა. თუმცა, ამის მიუხედავად, ქვეყანაში სიტუაცია მაინც არასახარბიელოა — მმართველობას არაფორმალური ხასიათი აქვს. მართლაცდა, რომელ დემოკრატიაზე შეიძლება ლაპარაკი იმ ქვეყანაში, რომელსაც ერთი ადამიანი მართავს? მით უმეტეს, რომ მას არანაირი თანამდებობა არ უკავია.

— რომელია უფრო უკეთესი, მიხეილ სააკაშვილი თუ ბიძინა ივანიშვილი?

— საერთოდ, კითხვა ასე არ უნდა დაისვას — ვინაა კარგი და ვინ ცუდი, მაგრამ გეტყვით: ცუდი, რა თქმა უნდა, მიხეილ სააკაშვილია. იმიტომ, რომ იგი საპყრობილეში ადამიანებს აწამებდა, ანუ ასეთი სისტემა სწორედ მან შექმნა. ცუდია იმიტომ, რომ იგი დემონსტრაციებს არბევდა. ამასთან, მე არ ვიცი, რა იქნება ერთი წლის შემდეგ, თუ ჩვენ ისეთ დემონსტრაციას ჩავატარებთ, როგორიც 2011 წელს იყო. კარგი იქნება თუ ცუდი — ამის თქმა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ქვეყნის დემოკრატიული განვითარების რეალურ შედეგებს დავინახავთ

ჩვენთან დემოკრატია არც მიხეილ სააკაშვილის მმართველობის დროს არ იყო და არც ბიძინა ივანიშვილის დროს არ არის. მიხეილ სააკაშვილის დროს ფიზიკურად გვეშინოდა. ბიძინა ივანიშვილის დროს ფიზიკური (ანგარიშსწორების) შიში არა გვაქვს, მაგრამ სამაგიეროდ, ხალხის გარყვნა ფულის საშუალებით მიმდინარეობს. **მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში არჩევნების ფალსიფიცირება ადამიანების დაშინებითა და შანტაჟით ხდებოდა — თუ ხმას („ნაციონალებს“) არ მისცემდნენ, ციხით და მოკვლით ემუქრებოდნენ, დღეს კი მათი მოსყიდვა ხდება (SIC!), რომელი უფრო უკეთესია? ჩემთვის ორივე მიუღებელია.**

„Deutsche Welle“ (გერმანია)

განცხადება

2018 წლის 13 იანვარს 14:00 საათზე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ. №15-ში გაიმართება აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის (E-60) ჩუმათელეთი-ხევის მონაკვეთის მოდერნიზაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საჯარო განხილვა. შეხვედრის მიზანია დაგეგმილ სამუშაოთა ზემოქმედების არეალში მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ–გვერდზე: www.georoad.ge
- ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში ბეჭდური ვერსია.

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ:

მაია ვაშაკიძე ტელ: 593 32 30 77; ელ. ფოსტა: maya_vashakidze@yahoo.co.uk

გია სოფაძე ტელ: 599 93 92 09; ელ. ფოსტა: gia.sopadze@georoad.ge

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

INFORMATION ABOUT PUBLIC CONSULTATION

Roads Department of Georgia makes this announcement to the attention of stakeholders that public consultation on **Environmental and Social Impact Assessment of Works for the Improvement of Chumateleti-Khevi Section of E-60 Highway** is planned to be held at the Kharagauli Municipality 13 January 2018 at 14:00. Address: Kharagauli, ჟ15 9 April Str.

Electronic version of the documents is available at the web page of Roads Department: www.georoad.ge; and hard copy of the document will be available at Kharagauli Municipality.

Please send your comments and remarks below mentioned Contact persons:

Maya Vashakidze. Tel: 593323077; E-mail: maya_vashakidze@yahoo.co.uk

Gia Sopadze Tel: 599 93 92 09; E-mail: gia.sopadze@georoad.ge

ელიზაბეტ მეორე ქორწინების 70-ე წლისთავს აღნიშნავს

ბრიტანეთის მონარქი ქორწინების 70 წლის იუბილის აღსანიშნავად ემზადება. დედოფალი ელიზაბეტი და პრინცი ფილიპი ქორწინების მრგვალ თარიღს 20 ნოემბერს იზეიმებენ. პრინცესამ საზღვაო ოფიცერ ფილიპ მაუნტბატენთან ვენსმინსტერის სააბატოში 1947 წლის 20 ნოემბერს დაიწერა ჯვარი. ცერემონიას სამეფო ოჯახის წევრები და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები დაესწრნენ.

ნეთანიაჰუ: ისრაელი მზადაა, ირანს მარტო დაუპირისპირდეს

ისრაელი მზადაა, ირანის წინააღმდეგ მარტო იმოქმედოს, რათა თეირანმა არ მიიღოს ბირთვული იარაღი და სირია თავის სამხედრო ბაზად აქციოს. ამის შესახებ ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ განაცხადა. მანვე მსოფლიოს ირანისთვის კოლექტიური წინააღმდეგობის გაწევისკენ მოუწოდა.

განცხადება

2018 წლის 5 იანვარს 13 საათზე, ქ. რუსთავის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი კოსტავას გამზირი №20) გაიმართება შპს „დიდოსტატი“-ს დაქვემდებარებაში არსებულ საწარმოს ტერიტორიაზე კლინკერისაგან ცემენტის დასამზადებელი 2 ახალი წისქვილის მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტაციის გაცნობა შესაძლებელი იქნება შემდეგ მისამართებზე:

- **ქ. რუსთავის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში- ქ. რუსთავი, კოსტავას გამზირი** №20;
- **შპს „გამა კონსალტინგი“-ს ოფისში - ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი** №17ა;

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქვემოთ მითითებულ პირებს:

- **სალომე მეფარიშვილი. ტელ: 599 952 067**

საზოგადოებას საკუთარი მოსაზრებების და შენიშვნების წარმოდგენა შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნებიდან 45 დღის ვადაში

შპს „დიდოსტატი“-ს ადმინისტრაცია

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ნანა შაინიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ნანა შაინიძე (პ/ნ 33001067689), ოზურგეთი, დაბა ლაითური.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

ქ. ოზურგეთი, ვიქტორ დოლიძის ქ. №13, ბინა №8 (საკადასტრო კოდი: 26.26.01.078.01.008).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 4989.77 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2017 წლის 16 ნოემბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2017 წლის 28 ნოემბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP48065517;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 480655

6. **მოვალე:** ზაზა მარგალიტაძე (პ/ნ 33001017638), ოზურგეთი, ჭავჭავაძის ქ. 19, ბინა №3.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284).
8. **აუქციონის პირობები:**

• აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

• მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

• აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.

• აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP48065517; ლოტის ნომერი: 480655).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 28 ნოემბრის 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს დავით მატკავას, ალექსანდრე შონიას და ზაზა შონიას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ნივთებზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** დავით მატკავა (პ/ნ 01018003399), თბილისი, ვ. ბარნოვის 67, ბინა 1;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: დუშეთის რაიონი, სოფელი სეთურები (საკადასტრო კოდი: 71.62.58.345).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავ ნივთზე რეგისტრირებულია ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ პირველი რიგის გარდამავალი იპოთეკის უფლება, რომლის ღირებულება შეადგენს 0 ლარს.

2. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ალექსანდრე შონია (პ/ნ 01008002248), თბილისი, შროშის ქ. №6, ბინა №2;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: დუშეთის რაიონი, სოფელი სეთურები (საკადასტრო კოდი: 71.62.58.343).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავ ნივთზე რეგისტრირებულია ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ პირველი რიგის გარდამავალი იპოთეკის უფლება, რომლის ღირებულება შეადგენს 0 ლარს.

3. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ზაზა შონია (პ/ნ 01009013992), თბილისი, პ. ქავთარაძის ქ. №9, ბინა №29;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: დუშეთის რაიონი, სოფელი სეთურები (საკადასტრო კოდი: 71.62.58.344).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავ ნივთზე რეგისტრირებულია ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ პირველი რიგის გარდამავალი იპოთეკის უფლება, რომლის ღირებულება შეადგენს 0 ლარს.

4. **უძრავი ნივთების საწყისი ფასი:** 296759,59 ლარი.
5. **უძრავი ნივთების რეალიზაციის ფორმა:** უძრავი ნივთების რეალიზაცია ხორციელდება ერთ ლოტად;
6. **აუქციონის დაწყების დრო:** 2017 წლის 28 ნოემბერი, 12:00 საათი;
7. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;
8. **მოვალე:** შპს „ნიბა ინვესტი“ (ს/ნ 204467834), თბილისი, თაბუკაშვილის №27;
ნიკოლოზ ლეკიშვილი (პ/ნ 01005004255), თბილისი, კარგარეთელის №3ა.
9. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;
10. **აუქციონის პირობები:**

• აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

• მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

• აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.

• აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 28 ნოემბრის 12:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ანნა წერეთელის და ვეფხვია ტყემალაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ნივთებზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ანნა წერეთელი (პ/ნ 54001003757), თბილისი, სოფელი დიღომი, კრისტიან სტივენის №69;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: თბილისი, სოფელი დიღომი, დიდი დიღომი (საკადასტრო კოდი: 01.72.14.042.730).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ვეფხვია ტყემალაძე (პ/ნ 38001007088), საჩხერე, სოფელი ჭორვილა;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: თბილისი, სოფელი დიღომი, კრისტიან სტივენის №69 (საკადასტრო კოდი: 01.72.14.042.538).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

3. **უძრავი ნივთების რეალიზაციის ფორმა:** უძრავი ნივთების რეალიზაცია ხორციელდება ერთ ლოტად;
4. **უძრავი ნივთების საწყისი ფასი:** 57116,64 ლარი.
5. **აუქციონის დაწყების დრო:** 2017 წლის 28 ნოემბერი, 12:15 საათი;
6. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;
7. **მოვალე:** შპს „ელდეგი“ (ს/ნ 404944780), თბილისი, სოფელი დიღომი, დიდი დიღომი, კრისტიან სტივენის №69;

ვეფხვია ტყემალაძე (პ/ნ 38001007088), თბილისი, სოფ. დიღომი, დიდი დიღომი, კრისტიან სტივენის №69;

ანნა წერეთელი (პ/ნ 54001003757), თბილისი, სოფელი დიღომი, კრისტიან სტივენის №69;

შპს „დავითი“ (ს/ნ 405025636), თბილისი, სოფელი დიღომი, კრისტიან სტივენის №69.

8. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.
9. **აუქციონის პირობები:**

• აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

• მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

• აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.

• აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 28 ნოემბრის 12:15 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს სარხან მელიკოვის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** სარხან მელიკოვი (პ/ნ 28001027094), მარნეული, სოფელი დიდი მუღანლო.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

მარნეული, სოფელი მუღანლო (საკადასტრო კოდი: 83.07.09.823).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 15953 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2017 წლის 16 ნოემბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2017 წლის 28 ნოემბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP48064717;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 480647

6. **მოვალე:** სარხან მელიკოვი (პ/ნ 28001027094), მარნეული, სოფელი დიდი მუღანლო;
ელნარ გასიმოვი (პ/ნ 28001074522), მარნეული, სოფელი დიდი მუღანლო;
მაგერამ ბინატოვი (პ/ნ 28001007147), მარნეული, სოფელი დიდი მუღანლო.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284).
8. **აუქციონის პირობები:**

• აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

• მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

• აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.

• აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP48064717; ლოტის ნომერი: 480647).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 28 ნოემბრის 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

როგორც იქნა

საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებმა ევრო 2017-ის შესარჩევ ტურნირში პირველი გამარჯვება იზეიმა: გია გეგუჩაძის გუნდმა მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ლიტვას 1:0 სძლია. 55-ე წუთზე ავტოგოლი მატულევიჩუსმა გაიტანა.

სადღეისოდ ქართველი 21-წლამდელები ჯგუფში 4 ქულით მეოთხე ადგილზე არიან და მესამე ადგილზე მყოფ ფარერის კუნძულების ნაკრებს ქულით ჩამორჩებიან. ჯგუფს 12 ქულით დანია ლიდერობს, პოლონეთს კი 11 ქულა აქვს.

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის 2018 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის უკანასკნელ, მესამე მატჩში საფრანგეთთან ფრედ 1:1 ითამაშა. გიორგი ყიფიანის გუნდი 3 შეხვედრაში მოპოვებული 2 ქულით მესამე ადგილზე გავიდა და ფინალური ეტაპისთვის ბრძოლას გამოეთიშა.

ჩვენებს გამარჯვებაც შეეძლოთ, თუმცა, 75-ე წუთზე ფრანგების კარში დანიშნული 11-მეტრიანი ნიკა ნინუამ ვერ გამოიყენა – მეკარემ აჯობა. შეგახსენებთ: სამი დღით ადრე ანდორასთან ვერმოგებულ მატჩში – 1:1 საქართველოს ნაკრები სწორედ ნინუას პენალტით დაწინაურდა.

ევრო 2018-ის საკვალიფიკაციო ტურნირის პირველ მატჩში ყიფიანის

გუნდი ტურნირის მასპინძელ ბოსნია-ჰერცოგოვინასთან ბოლო წუთებზე გაშვებული გოლით 0:1 დამარცხდა.

გიორგი შოთაძე

◎ გამოცდის წინ

ვის ენდობა ზურაბი?

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა მსოფლიოს 2019 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის მზადება დაიწყო. მთავარმა მწვრთნელმა ილიას ზუროსმა 24 კანდიდატი დაასახელა, რომელთაგან ნოემბრის საკვალიფიკაციო მატჩებისთვის 12-ს შეარჩევს.

არაერთ ახალბედასთან ერთად ეროვნულ ნაკრებში გამოძახებულნი არიან ევროლიგის მოთამაშეები – გიორგი შერმადინი (უნიკახა, ესპანეთი) და თორნიკე შენგელია (ბასკონია, ესპანეთი). საქართველოს ნაკრებთან თანამშრომლობა გააგრძელა ამერიკელმა მაიკლ დიქსონმა, რომელიც საქართველოს პასპორტს ფლობს და ჩვენი ეროვნული ნაკრების ღირსებას ბოლო 2 წელია, რაც იცავს.

ცვლილებები განხორციელდა სამწვრთნელო შტაბშიც. გასული ევრობასკეტის შემდეგ ამოწურული კონტრაქტები არ გაუხანგრძლივდათ მთავარი მწვრთნელის ასისტენტებს – იურიცა გოლემაცს, ირაკლი ხოშტარიასა და კოტე ტუღუშს. ილიას ზუროსის გადაწყვეტილებით მათი ადგილები დაიკავეს „ოლიმპის“ მწვრთნელმა დავით როგავამ და ბერძენმა სპეციალისტმა გეორგიოს ლიმნიატისმა. ეს უკანასკნელი პროფესიონალი კალათბურთელი იყო და საბერძნეთის ეროვნულ ნაკრებშიც გამოდიოდა. მოთამაშის კარიერის დასრულების შემდეგ ლიმნიატისმა მუშაობა მწვრთნელად დაიწყო და გასულ სეზონში ის ბერძნული პაოკის მთავარი მწვრთნელის ასისტენტი გახლდათ. სამწვრთნელო შტაბში, ასისტენტის პოზიციაზე მუშაობას აგრძელებენ უცხოელი სპეციალისტები – სერბი მილოშ გლიგორიევიჩი და ხორვატი ტიჰომირ ბუიანი.

შეიცვალა ფიზმომზადების მწვრთნელიც. დამსახურებული სპეციალისტის ავთო ბერიძის ადგილი მისმა ახალგაზრდა კოლეგამ ირაკლი შიოშვილმა დაიკავა.

ბერიძე მუშაობას საქართველოს ასაკობრივ ნაკრებებში გააგრძელებს. ექიმთა შტაბს კვლავინდებურად თემურ ხვედელიძე უხელმძღვანელებს, რომელსაც ზურა სულეიმანაშვილი დაეხმარება.

საქართველოს ეროვნული ნაკრები გაფართოებული შემადგენლობით ვარჯიშს 12 ნოემბერს „დინამოს“ საწვრთნელ ბაზაზე შეუდგა. ილიას ზუროსი გუნდს 20 ნოემბრამდე ავარჯიშებს, რის შემდეგაც ჩვენი ნაკრები გერმანიაში გაემგზავრება და 24 ნოემბერს მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პირველ მატჩს გამართავს. საქართველოს ნაკრები გერმანიიდან ბელგრადში გადაინაცვლებს და ფიბას მიერ გამოყოფილი სანაკრებო ფანჯრის მეორე შეხვედრას გასული ევრობასკეტის ვერცხლისმედალოსან სერბეთთან ჩაატარებს.

შეგახსენებთ, რომ შესარჩევ ჯგუფში საქართველოს, გერმანიასა და სერბეთთან ერთად ავსტრიაც გახლავთ და მომდევნო ეტაპზე 3 საუკეთესო ნაკრები გადის. ფიბას მიერ დაწესებული მომდევნო სანაკრებო ფანჯრები თებერვალში და ივნის-ივლისშია გამოყოფილი.

ვიტალი ჯაფარიძე

საქართველოს ეროვნული ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა			
მსოფლიოს 2019 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირი			
მოთამაშეები	პოზიცია	სიმაღლე	გუნდი
თორნიკე შენგელია	4	207	ბასკონია (ესპანეთი)
გიორგი შერმადინი	5	215	უნიკახა (ესპანეთი)
გიორგი ცინცაძე	1	192	პოლიტექნიკა (რუმინეთი)
მანუჩარ მარკოიშვილი	2/3	196	რეჯიო ემილია (სერია „ა“, იტალია)
დუდა სანაძე	2/3	196	ფლექს პისტოია (სერია „ა“, იტალია)
მაიკლ დიქსონი	2/1	186	სტრასბური (PRO A, საფრანგეთი)
გოგა ბითაძე	5	211	მეგა ბიმაქსი (სერბეთი)
ილია ლონდარიძე	5/4	206	დინამო
მიხეილ ბერიშვილი	3/4	203	დინამო
ანატოლი ბოისა	3/2	196	კაკტუსი
ბექა ბექაური	4/5	208	ქუთაისი
ნოდარ გოგოძე	2/1	192	დინამო
ნიკა ცქიტიშვილი	4/5	213	თავისუფალი აგენტი
ლევან ფაცაცია	3/2	198	დინამო
აკაკი დვალიშვილი	5/4	208	ქუთაისი
ბექა წივწივაძე	1	188	ქუთაისი
რევაზ როგავა	2	193	ოლიმპი
ნიკა დარბაიძე	3/4	203	ოლიმპი
გეგი ბაქრაძე	5/4	208	ოლიმპი
გიგი გოგობერიშვილი	2	195	რუსთავი
ოთარ პერტაია	1	180	ეისბარენ ბრემერჰავენი (გერმანია)
ნიკა მეცხვარიშვილი	4/3	200	ზაზა
რატი ანდრონიკაშვილი	1	190	ბასკონია (ესპანეთი)
მერაბ ბოქოლიშვილი	2	194	ოლიმპი
1 - გამთამაშებელი, 2 - მსროლელი, 3 - მსუბუქი ფორვარდი, 4 - მძიმე ფორვარდი, 5 - ცენტრი			

სამწვრთნელო შტაბი	
გეორგიოს ლიმნიატისი	მთ. მწვრთნელის ასისტენტი
მილოშ გლიგორიევიჩი	მთ. მწვრთნელის ასისტენტი
ტიჰომირ ბუიანი	მთ. მწვრთნელის ასისტენტი
დავით როგავა	მთ. მწვრთნელის ასისტენტი
ირაკლი შიოშვილი	ფიზმომზადების მწვრთნელი
თემურ ხვედელიძე	ექიმი
ზურა სულეიმანაშვილი	ექიმი

საქართველოს ეროვნული ნაკრების კალენდარი		
მსოფლიოს 2019 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირი #FIBAWORLDCUP2019		
24 ნოემბერი, 2017	გერმანია - საქართველო	ქემნიცი, გერმანია
27 ნოემბერი, 2017	სერბეთი - საქართველო	ბელგრადი, სერბეთი
23 თებერვალი, 2018	ავსტრია - საქართველო	ავსტრია
25 თებერვალი, 2018	საქართველო - გერმანია	თბილისი, საქართველო
29 ივნისი, 2018	საქართველო - სერბეთი	თბილისი, საქართველო
2 ივლისი, 2018	საქართველო - ავსტრია	თბილისი, საქართველო

◎ ლეგიონერი



„კლერმონის“ ვეტერანი მარჯვენა ბურჯი დავით ზირაქაშვილი ტრავმირებულია. საქართველოს ნაკრების ყოფილი მორაგბე კვირას „მონპელიესთან“ წაგებული საგარეო მატჩის (24:28) პირველ ტაიმში დაშავდა და მეორე ნახევარში მოედანზე აღარ გამოჩენილა.

ზირაქაშვილი 4-6 კვირას იუქმებს

ფრანგული კლუბის ოფიციალური ვებ-გვერდის განცხადებაში წერია, რომ 34 წლის პირველხაზელს გულმკერდის არეში კუნთი აქვს დაზიანებული და დაახლოებით ოთხიდან ექვს კვირამდე ვერ შეძლებს თამაშს.

„კლერმონს“ მომდევნო მატჩებში ძალიან გაუჭირდება, რადგან ზირაქაშვილის შემცვლელი რაბა სლიმანი საფრანგეთის ნაკრებშია გამოძახებული, ხოლო კიდევ ერთი მარჯვენა ბურჯი მაიკლ სიმუტოგა ტრავმირებულია და მხოლოდ აარონ ჯარვისია მწყობრში.

ზირაქაშვილმა მიმდინარე სეზონში 8-ჯერ ითამაშა და აქედან 5 მატჩი სასტარტოში დაიწყო. გასულ სეზონში მან ტოპ 14-ში 19 შეხვედრა ჩაატარა, 2 ლელო გაიტანა და საფრანგეთის ჩემპიონი გახდა, ევროპის ჩემპიონთა თასზე კი 9-ჯერ გამოჩნდა და ტურნირის ფინალამდე გააღწია, სადაც „სარასენსთან“ დამარცხდა.

შეგახსენებთ, რომ დავით ზირაქაშვილი „ბორჯღალოსანთა“ რიგებში 2004-2015 წლებში თამაშობდა. მან ნაკრების კვართი 53-ჯერ მოირგო და მეტოქეები 8-ჯერ დაალელოვა, ხოლო „კლერმონის“ ღირსებას 2004 წლიდან იცავს და 289 მატჩში 18 ლელო აქვს გატანილი.

კობა კობახიძე

◎ ინტერნეტიდან



კავანის ყოფილი ცოლი დაუტკბა

საფრანგეთში მობურთალი ურუგვაელი შემტევის ედინსონ კავანის ყოფილი ცოლი მარის სოლედადი ქმართან განშორების შემდეგ დიდ იშტაზე იყო და ედინსონზე ისეთ „კაი კაებს“ იძახდა, იმის მოსმენას ჭეშმარიტად ჯობდა 20 წლის წინანდელი ედუარდ შევარდნაძის რადიოინტერვიუების ციკლი მოგესმინა.

გამოხდა ხანი, ედინსონ კავანისათვის ორი შვილის გამჩენი მარისი „ტულკის პაჩებნიკივით“ მოჯდა და ახლა უკვე სრულიად დამშვიდებული, დაწყნარებული და მომავალზე ორიენტირებული იძახის, რომ ყოფილ ქმართან აღარაფერი აქვს გასაყოფი და შვილების ხათრით კავანისთან იმეგობრებს კიდეც.

პარიზში ავი ენები იძახიან, მარის სოლედადს ედინსონ კავანისთან შერიგება სურს და საამისოდ ნიადაგს ამზადებსო, მაგრამ ჩვენი მოკრძალებული აზრით, ედინსონს ნაცოლარის ენამწარობის დავიწყება ნამეტნავად გაუჭირდება...

როსტომ რაჭველიშვილი

არდავიწყება

ფრიდონის ნათელი

მხოლოდ ორმოცი დღე გავიდა მისი გარდაცვალებიდან და **ფრიდონ თოდუა** უკვე მძაფრად მოისაკლისა ქართველმა საზოგადოებამ. დიდი აღმოჩნდა სიცარიელე, რომელიც მისმა ამქვეყნიდან განრიდებამ წარმოშვა. განუზომელია საოცარი პიროვნული ხიბლით გაჯერებული მთელი მისი მრავალმხრივი მოღვაწეობის მასშტაბი და ნათელი.

კიდევ უფრო მძაფრი და უჩვეულო განცდა მოგველის უთუოდ მომავალში. საქმე ისაა, რომ თუ ფიზიკურ სამყაროში საგნებთან დაშორება მათი მოცულობის შემცირების შთაბეჭდილებას ქმნის, სრულიად განსხვავებულია ეფექტი ადამიანურ განზომილებაში: რაც უფრო მეტი დრო და სივრცე გვაშორებს ვინმეს, მით მეტად მატულობს მისი პიროვნული წონა და მნიშვნელობა — დადებითიცაა და უარყოფითიც. ბატონი ფრიდონ თოდუა ჩვენ წინაშე წამოიმართა როგორც ზეგარდმო ძალებით შთაგონებული დაუღალავი მოღვაწე და შემოქმედი, რომლის სახელი დღითი დღე იზრდება, როგორც ჩანს, კვლავაც განუხრელად განივრცობა.

არადა, არც თუ იოლი ჩანდა ეს, ერთი შეხედვით, მისი მშობლიური კუთხისა თუ დალოცვილი პროფესიის ბუმბერაზ მოღვაწეთა, სწორუპოვარი რაინდების ფონზე. ერთი რომელიმე მათგანის გახსენებაც კი საკმარისია...

ფრიდონ თოდუას ნათელმა პიროვნებამ, ცხოვრების წესმა და განვლილმა გზამ ცხადყო, რომ მისთვის ეს არ ყოფილა მიუღწეველი ამოცანა. მართალია, ნაგულვები ისტორიული ფიგურები ვეება ჩრდილებს აფენენ, მაგრამ ეს გახლავთ „ჯადოსნურად მანათობელი აჩრდილები“, რომლებიც მარტო კი არ გფარავენ, არამედ გვიფარავენ კიდეც იმით, რომ ნათელსაც გვფენენ, ღვთიური მადლით შეზავებულს.

ფრიდონ თოდუას ადამიანური, პროფესიული და მოქალაქეობრივი გამარჯვება იმანაც განაპირობა, რომ, როგორც კეთილშობილ რაინდს ეკადრება, მან როდი ინდომა დასხლტოდა დიდ წინაპართა აჩრდილებს. პირიქით, მათი შუქით გამთბარმა და გაცისკროვნებულმა, საკუთარი სხივით გამოანათა. არასდროს დაილევა ფრიდონ თოდუას პიროვნული ხიბლისა და კეთილშობილი მოღვაწეობის ნათელი.

მინდია უგრეხელიძე

სანთელი



საქართველოს ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური და თბილისის ვეტერანთა საქალაქო და რაიონული კავშირები ღრმა მწუხარებით იუწყებიან სამხედრო ძალების დამსახურებული ვეტერანის, კეთილშობილებით, ადამიანური თვისებებით, დაუღალავი შრომით, პატიოსნებითა და სამართლიანობით გამორჩეული მეგობრის

უშანგი შერმაზანაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს, ახლობლებსა და მეგობრებს.

ნ. მახვილაძის სახელობის შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველოს პროფილაქტიკური მედიცინის მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ქართული პროფესიული პათოლოგიის დარგის გამოჩენილი ექიმი, მედიცინის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს პროფილაქტიკური მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ღირსების ორდენის კავალერი

მზია წერეთელი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

◎ მადლს მარილიც მოაყარეთ!

მშობლიურ ქუჩაზე, ვით წინა ხაზის სანგრებში...

ნგრევას რამდენიმე წამი რომ ჰყოფნის, შენებას კი დიდი დრო სჭირდება, ამის ცოდნას რა ბევრი ფილოსოფია უნდა, მაგრამ არსებობს დროის გარკვეული ჩარჩოები, რომელშიც ამა თუ იმ სასიკეთო საქმის კეთება რეალურად მაინც უნდა „ჯდებოდეს“. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ლაპარაკია ისეთ დიდად მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიცაა პროექტის „ძველი თბილისის“ ფარგლებში დედაქალაქის ცენტრის თანმიმდევრული გაკოსტავება-გალამაზება, რომლის თვალნათელი მაგალითი ჩუღურეთში რამდენიმე წლის წინათ აღმაშენებლის პროსპექტის ნაწილის საფეხმავლო ზონად გადაკეთებაა.

რამდენადაც ცნობილია, აღმაშენებლის პროსპექტის რეაბილიტაციის გარდა, რომელიც ჯერაც ბოლომდე არ დასრულებულა, გარკვეული ინფრასტრუქტურული სამუშაოები მის ზედა, ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე უბნების ქუჩებზე მიმდინარეობს. კერძოდ, უკვე მერამდენე წელია, ივანე ჯავახიშვილისა და ზოგიერთ მიმდებარე (მაგალითად, კლდიაშვილის) ქუჩებზე წყალგაყვანილობის ამორტიზებული მილები შეიცვალა, მიწისქვეშ ინტერნეტის კაბელი გაიყვანეს. თანაც, გარდა გზის სავალი ნაწილისა, ასფალტის საფარი ტროტუარებზეც აყარეს, ხეების ირგვლივ ბორდიურები შეცვალეს.

ეს ყველაფერი, იცოცხლეთ, უდავოდ მისასალმებელი და სანაქებო საქმეა, რომლის გაკეთება, ზემოთქმულისა არ იყოს, ერთ და ორ დღეში შეუძლებელია. ამიტომაცაა, რომ ეს სამუშაოები აგერ უკვე მერამდენე წელია, ივ. ჯავახიშვილის ქუჩის დასაწყისიდან, ანუ ავლაბრის მხრიდან დიდუბის მიმართულებით ხორციელდება.

ახლა კი წლევანდელი შემოდგომის დადგომისთანავე ჯერი მარჯანიშვილის ქუჩიდან, ვიდრე კლდიაშვილის ქუჩამდე, ჯავახიშვილის ქუჩის ერთ პატარა უბანზე მიდგა მასზე წყალმომარაგების ხაზის შეცვლა და რეაბილიტაცია დაიწყო.

ესკავატორის გრუხუნი, წყალსადენის, ტრანშეისა და კომუნიკაციებისთვის ორმოების გაჭრა, ბორდიურის ქვების დაჭრა, სადარბაზოებისა და ეზოების შესასვლელთან ქვის მასალის ისე მიყრა, რომ შესვლა შეუძლებელი გახდა, შემდეგ მთელ ქუჩაზე ხრეშის დაყრა... საშინელი ხმაური იყო, მტვერი და ბუღი იდგა იმ დროს უბანში.

ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს თუ რა მდგომარეობა სუფევდა სამუშაოს მიმდინარეობის დროს გაჭრილ თხრილებზე გადებულ ფიცრებზე ხალხი ცირკის აკრობატების მსგავსად წონასწორობის შენარჩუნებას ხშირად ამაოდ ცდილობდა. ბუნებრივია, ყველას აინტერესებდა, ახლაც ცნობისმოყვარეობა კლავს, თუ როდის მორჩება საქმე. ვიმეორებ, ეს ყოველივე სექტემბრიდან მოყოლებული ხდებოდა და მაშინ სამუშაოთა მწარმოებლებიც, მათი ხელმძღვანელებიც გვამშვიდებდნენ — არჩევნებამდე ყველაფერი დასრულდებაო...

ახლა კი, ადგილობრივი და დედაქალაქის მერის არჩევნების შემდეგ, ჯავახიშვილის ქუჩის ეს პატარა უბანი უკვე თითქმის ერთი თვეა ღვთის ანაბარადაა მიგდებული(!) არადა, სწორედ ამ ქუჩით მოძრაობს უმძლავრესი სატრანსპორტო ნაკადი, რომელიც ახლა მას ზემოდან, ჩიტაიას ქუჩიდან უვლის და პიკის საათებში ეს „ქარავანი“ მარჯანიშვილის ქუჩასაც ისე ტვირთავს, რომ საცობი მარჯანიშვილის მოედნიდან, მარყუჟად, თითქმის სადგურის მოედნამდე აღწევს!

წინამდებარე პუბლიკაციის მიზანი სულაც არ გახლავთ ამ საქმის მკეთებელთა გაქილიკება, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ სადღეისოდ შექმნილი მდგომარეობა ოდესღაც უნდა დასრულდეს?

რამდენიმე დღეა, მოასფალტებულ ტროტუარებზე ბორდიურების აყრა, წყალგაყვანილობის მილების ჩასაყრელად თხრილების გაჭრა უკვე კლდიაშვილისა და კონსტიტუციის ქუჩებს შორის უბანში დაიწყო. თუ საქმე იქაც ამ ტემპით გაგრძელდა, ასფალტის საფარის დაგებას კი მავანნი ერთიანად აპირებენ, მაშინ, როგორც ჩანს, კეთილმოწყობილ უბანს ჯავახიშვილის ქუჩაზე უკვე თბილისის ახალი მერისა და რაიონის გამგებლის განსაკუთრებული მონდომების შემთხვევაში თუ ვეღირსებით...

ოთარ ტურაბელიძე,
ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო

შპს „ტაბა“ გაცნობებთ, რომ 2018 წლის 15 იანვრიდან შპს „ტაბას“ აბონენტებს სამომხმარებლო ტარიფი განესაზღვრებათ 50,77 თეთრით.

შპს „ტაბას“ დირექცია.

სასამართლომ მამაკაცს ყოფილ ცოლთან მიახლოება აუკრძალა

თბილისის საქალაქო სასამართლომ ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტზე შემაკავებელი ორდერი გამოსცა.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ყოფილი ქმარი ფსიქოლოგიურად ძალადობდა ქალზე, რის გამოც ეს უკანასკნელი განიცდიდა მუდმივ შიშს.

„სასამართლომ ქალის ყოფილი მეუღლე მოძალადედ მიიჩნია და მსხვერპლთან, მათ შორის მის სამსახურთან 2 მეტრის რადიუსით მიახლოება აუკრძალა. მოძალადეს, ასევე აეკრძალა, მსხვერპლთან ნებისმიერი სახით ურთიერთობა, მათ შორის, სატელეკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით. სასამართლომ 6 თვის ვადით გამოსცა დამცავი ორდერი, რომლითაც ოჯახში ძალადობის შემთხვევაში, მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიება განისაზღვრა.

მიმდინარე წლის 7 ნოემბრის მდგომარეობით, თბილისის საქალაქო სასამართლოს დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით 171-მა განმცხადებელმა მომართა; გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, დამცავი ორდერის გამოცემის თაობაზე სასამართლოსთვის მომართვიანობამ 16,3%-ით იმატა“, — ნათქვამია სასამართლოს განცხადებაში.

◎ სულიერება

ქართველთა მნათობი – ნიკოლოზი აკოლოთიათა აღმნერელი

16 ნოემბერს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს ქართველთა მნათობს — ღირს ნიკოლოზს.

ღირსი ნიკოლოზი ცხოვრობდა წმიდა დიმიტრი თავდადებულის ძის, ვახტანგის მეფობის დროს. ანტონ კათოლიკოსი წერს, რომ ნიკოლოზი არის „ავქსონი კანონთ, მრავალ აკოლოთიათ“ და ასახელებს მის ერთ თხზულებას: **„ამან უზომოდ წვიმისა გარდამოსვლის დასაყენები შექმნა აკოლოთია, მხურვალსავედრი ღვთისადმი ერისაგან, მაღალთგამოთქმით“**. ეს აკოლოთია გვხვდება ქართულ კურთხევანში.

პლატონ იოსელიანი წერს, რომ ღირსი ნიკოლოზის სხვა აკოლოთიანი უნახავს ათონის ივერთა მონასტრის ხელნაწერებში. ვარაუდობენ, რომ როგორც ლიტურგისტს, მას უნდა ეკუთვნოდეს ის წესები, კერძოდ „განგება წყლის კურთხევისა“, რომელიც 1306-1316 წლებშია ნათარგმნი ბერძნულიდან ქართულად.

ქართველთა მნათობად წოდებული, წმინდა ნიკოლოზის ნათელი დღესაც უხვად ეფინება ჩვენს საყვარელ ეკლესიას და ჩვენს საქართველოს!

* * *

17 ნოემბერს საქართველოს ეკლესია სამი ქართველი წმინდანის იოანეს, სტეფანესა და ისაიას იხსენიებს.

გიული ლიპარტია

ჩინეთის პოლიციაში რობოტები იმუშავებენ?

ჩინეთის ერთ-ერთი ქალაქის პოლიციაში მალე მართვის მოწმობის გამოცდებს რობოტები ჩაიბარებენ.

პოლიციის განყოფილება უწყვეტ რეჟიმში, კვირაში 7დღე და 24 საათი იმუშავებს.

გამოცდის ჩაბარება შესაძლებელი იქნება სპეციალური სიმულატორის დახმარებით. პროექტის ავტორები იმედოვნებენ, რომ შედეგი ობიექტური იქნება.

ცოტა ხნის წინ დუბაიში პირველი ქვეითი-რობოტი პოლიციელები გამოჩდნენ.

თოჯინა ბარბის ჰიჯაბი ჩააცვეს



ამერიკულმა კომპანია „Mattel“-მა, რომელიც მსოფლიოში ცნობილი თოჯინის, ბარბის მწარმოებელია, მას ახალი სტილი შეურჩია. ყვალასთვის საყვარელ სათამაშოს მუსლიმური თავსაბურავი ჰიჯაბი მოარგო.

თოჯინა ამერიკელი მოფარიკავის იბტიხადჯ მუხამადის პატივსაცემად გამოვა, რომელიც პირველი ქალბატონი გახდა, ვინაც ამერიკის სახელით 2016 წლის ოლიმპიადაზე ჰიჯაბით გამოვიდა. ჰიჯაბთან ერთად თოჯინას მოფარიკავის ტანისამოსი და შლემი აცვია.

ბარბის მწარმოებელმა სოციალურ ქსელში დაწერა, რომ სიამაყით აკეთებს მსგავსი სახის სათამაშოს, რომელიც2018 წლიდან ყველგან გაიყიდება.

ტრამპს ტყუილები დაუთვალეს

დონალდ ტრამპმა პრეზიდენტად არჩევის შემდეგ 1 628 ტყუილი თქვა. ამის შესახებ გამოცემა „ვაშინგტონ პოსტი“ იტყობინება. გავრცელებული ინფორმაციით, ტრამპმა პრეზიდენტის პოსტზე 298 დღე გაატარა. აქედან გამომდინარე, ის დღეში საშუალოდ 5-ნახევარ ტყუილს ამბობდა. როგორც „ვაშინგტონ პოსტი“ წერს, თუ ტენდენცია გაგრძელდება, 2017 წლის ბოლოსთვის ტრამპს 2 ათასამდე ტყუილი ექნება ნათქვამი, პრეზიდენტობის ვადის დასრულებამდე კი ის 8 ათასამდე ტყუილს იტყვის.

მატარებლიდან 1.3 მილიონის ბრილიანტი მოიპარეს

ლონდონის პოლიცია ეძებს ქურდებს, რომლებმაც ბირმინგემელ იუველირს მატარებლიდან ძვირფასი ქვებით სავსე ქეისი მოპარეს.

ბრიტანელმა სამწუხაროდ, სიფრთხილე არ გამოიჩინა, როცა ასეთი ნივთები უყურადღებოდ, მატარებლის ზედა თაროზე შემოდო.

პოლიციას ბოროტმოქმედების სურათები უკვე აქვს, რომლებიც სათვალთვალო კამერებმა დააფიქსირეს.

ქეისი 1,3 მილიონი ფუნტის ღირებულების ბრილიანტის, ლალის, ზურმუხტისა და საფირის თვლებით იყო სავსე.

მოამზადა რუსუდან ქობულიამ

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

გასაცინებელი ა(მ)ბები

კარგი მეხსიერება

პოლიციელმა ქუჩაში მანქანა გააჩერა.

— რატომ დადიხართ უნომრო მანქანით? — მკაცრი ტონით შეეკითხა იგი საჭესთან მჯდომ ქალიშვილს.

— ნუ ღელავთ, ბატონო, — უთხრა ქალიშვილმა. — ზეპირად მახსოვს, მკითხეთ, თუ გინდათ.

ავტომობილის მართვის გამო

ცოლმა მიიღო მართვის მოწმობა და საჭეს მიუჯდა. როგორც კი ავტომობილი ხმაურიან ქუჩაზე გავიდა, ქალი დაიბნა.

— ღმერთო, ახლა რა ვქნა! — ყურში ჩასძახა გვერდით მჯდომ ქმარს.

— წარმოიდგინე, რომ საჭესთან მე ვზივარ, — შეჰყვირა ქმარმა პასუხად. — და შენთვის ყველაფერი ნათელი გახდება.

არსებითი სხვაობა

— რა განსხვავებაა ბიოგრაფიასა და ავტობიოგრაფიას შორის? — შეეკითხნენ ფილოლოგს.

— ბიოგრაფია, ადამიანს ისეთს გვიჩვენებს, როგორიც არის, — მიუგო მან, — ხოლო ავტობიოგრაფია ისეთს წარმოგვიდგენს, როგორადაც თვითონ მიაჩნია საკუთარი თავი.

დალაქი

ეს ამბავი ერთ პატარა დაბაში მოხდა. იქ ერთი დღით ჩავედი, გასაპარსი ვიყავი და გამვლელს ვკითხე, აქ საპარიკმახერო სად არის-მეთქი.

— პარიკმახერი? — გაიკვირვა მან. — ჩვენს დაბაში პარიკმახერი არ არის.

— აბა, ვინ გპარსავთ და თმას ვინ გკრეჭთ?

— ერთი ბებერი პეტრეა.

— მერედა, სად ცხოვრობს ის ბებერი პეტრე?

— პირდაპირ წადით და იარეთ, სანამ ნაცრისფერი აგურით ნაშენი პატარა სახლი არ შეგხვდებათ.

როგორც გამვლელმა მიმასწავლა ისე წავედი და დაბის განაპირას იმ მისწავლებულ ნაცრისფერი აგურით ნაშენ სახლს მართლაც მივადექი. ბებერმა პეტრემ ცოტა კი გაიკვირვა, მაგრამ მაინც დამეთანხმა, გაგპარსავო. მერე გრძელ მაგიდაზე დამაწვინა, სახე გამისაპნა და მარჯვედ გამპარსა. მე შევაქე, კარგი ხელი გქონია-მეთქი.

— თუ გავითვალისწინებთ, რომ ცოცხალი კლიენტი პირველად გაგპარსე, ცუდად მართლაც არ გამიპარსიხარო, — მითხრა ბებერმა პეტრემ.

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6830; ევრო - 3.1437;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5120;
100 რუბლი - 4.4961; თურქული ლირა - 0.6930;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5818;
1000 სომხური დრამი - 5.4946.

ამინდი 16 ნოემბრისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +3, დღე +18
მთიანი რაიონები - ღამე -2, დღე +16
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +6, დღე +20
მთიანი რაიონები - ღამე 0, დღე +16
თბილისი: ღამე +8, დღე +18

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge